

**ΟΑΘΑΘΕΑΑΕΙ Ο ΕΙ ΤΟΙΕΕΑΥΕΑΑΕΟ  
ΑΟΙ ΑΙΟΕΕ ΕΙ ΤΕΟΕΑ**



**ΒΕΕΘΘΕ ΑΙΑΑΘΕΥΕ  
2007 Β.**

## სარჩევი

თავი I საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია.....	3
ანგარიშვალდებულება და სტრუქტურა .....	3
საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრები .....	4
კომისიის ბიუჯეტი და ფინანსური რესურსები.....	7
მარეგულირებელი კანონმდებლობა.....	10
საკანონმდებლო ცვლილებები 2007.....	10
თავი II განხორციელებული სამუშაოების ანალიზი .....	11
კომისიის დადგენილებები .....	11
კომისიის გადაწყვეტილებები .....	14
აუქციონები/კონკურსები.....	17
კონკურსები .....	17
ავტორიზაცია .....	18
ლიცენზირება.....	19
ნუმერაციის რესურსი .....	20
ბაზრის სეგმენტების კვლევა და ანალიზი .....	21
ზედა ზღვრული ტარიფების დადგენა .....	22
რადიოსიხშირეების მონიტორინგი და მართვა.....	23
საერთაშორისო კოორდინაცია.....	24
დავები.....	26
თავი III ელექტრონული კომუნიკაციების მომსახურების ბაზრის განვითარების მიმოხილვა .....	30
დარგის შემოსავლების წილი ეკონომიკის მთლიან შიდა პროდუქტში .....	31
ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების ბაზრის სეგმენტების განვითარების დინამიკა .....	32
ფიქსირებული საკომუნიკაციო მომსახურება .....	34
მობილური ტელეფონია .....	35
ტელე-რადიო მაუწყებლობა .....	36
ინტერნეტის ქსელით მომსახურება .....	36
თავი IV სტრატეგიული გეგმა .....	37
2007-2010 .....	37
სტრატეგიული მიზნები .....	37

# თავი I საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

## მისია

საქართველოს მეგზური თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ერაში

## ხედვა

- ელექტრონული კომუნიკაციების ბაზრის განვითარების ხელშეწყობა
- კონკურენტული და ღია გარემოს ჩამოყალიბების ხელშეწყობა
- საბაზრო ცვლილებებზე მოქნილი და ადექვატური რეაგირების მექანიზმის შექმნა
- საინფორმაციო საზოგადოების განვითარების ხელშეწყობა
- კომპანიებსა და მომხმარებლებს შორის მედიატორის როლის შესრულება
- საინვესტიციოდ მიზიდველი და სტაბილური ბიზნეს გარემოს შექმნის ხელშეწყობა

## ღირებულებები:

ჩვენ გვჯერა, რომ:

- ელექტრონული კომუნიკაციების განვითარება ხელს უწყობს ქვეყნის საერთო ეკონომიკურ ზრდას
- ღია და გამჭვირვალე ურთიერთობები ხელს უწყობს ბაზრის მონაწილეებსა და მომხმარებლებს შორის ნდობის გაღრმავებას
- გამჭვირვალე საბაზრო პრინციპებზე დაფუძნებული რეგულირება და გადაწყვეტილების მიღებისას თანასწორუფლებიანობისა და არადისკრიმინაციულობის პრინციპების დაცვა არის ბაზარზე კონკურენციის განვითარების ხელშეწყობისა და ინოვაციების დამკვიდრების წინაპირობა
- ბაზარზე კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბება ხელს უწყობს მომსახურების ხელმისაწვდომობის ზრდასა და მომხმარებლების უფლებების დაცვას
- სტაბილური და პროგნოზირებადი გარემო, ინვესტიციების მოზიდვის, ასევე ინოვაციების და ახალი ტექნოლოგიების დანერგვის საწინდარია
- რეგულირების მოქნილი მექანიზმი, ბაზარზე მიმდინარე პროცესებზე ორიენტირებულობა, მარტივი და გასაგები წესების დამკვიდრება, ეფექტიანობისა და შედეგიანობის მიღწევის საწინდარია
- შეზღუდული რესურსების ეფექტურად განაწილება ელექტრონული კომუნიკაციების დარგში კონკურენციის განვითარების წინაპირობაა

## ანგარიშვალდებულება და სტრუქტურა

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში “კომისია”), როგორც დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო, თავის საქმიანობაში

ხელმძღვანელობს დამოუკიდებლობის, საჯაროობისა და პასუხისმგებლობის პრინციპებით.

იგი ანგარიშვალდებულია საზოგადოების წინაშე, რაც ლოგიკურად გამომდინარეობს მისი ვალდებულებიდან იმოქმედოს საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისად. მისი საქმიანობა გამჭვირვალეა საზოგადოებისათვის; მისი სხდომები საჯარო და ღიაა დაინტერესებული პირებისათვის; იგი თავისი საქმიანობის შესახებ წლიურ ანგარიშს წარუდგენს საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოს პარლამენტს. კომისია წარმოადგენს კოლეგიალურ ორგანოს. “მაუწყებლობის შესახებ” (მიღებული 2004 წლის 23 დეკემბერს) საქართველოს კანონის თანახმად კომისია შედგება ხუთი წევრისაგან. კომისია, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, ხმათა უმრავლესობით, იღებს სამართლებრივ აქტებს: დადგენილებას, გადაწყვეტილებას, აგრეთვე თავმჯდომარე გამოსცემს ბრძანებებს. კომისიის სამართლებრივი აქტები შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## **საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრები**

### **კომისიის თავმჯდომარე- ბატონი გიორგი არველაძე**

დაიბადა 1982 წლის 15 აპრილს ქ. თბილისში

1999 წელს ჩააბარა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში, ჰუმანიტარულ-ტექნიკურ ფაკულტეტის, საბანკო საქმის სპეციალობაზე და 2003 წელს მიენიჭა ბაკალავრის ხარისხი. 2004 წელს ჩააბარა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის, სახელმწიფო მმართველობის სამაგისტრო კურსზე და 2005 წელს მიენიჭა სახელმწიფო მმართველობის მაგისტრის საერთაშორისო წოდება.

2005 წელს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში მინისტრის თანაშემწის თანამდებობაზე დაინიშნა. 2005-2006 წლებში შპს ”საქართველოს რკინიგზა”, გენერალური ინსპექციის უფროსის თანამდებობა ეკავა. 2006-2007 წლებში სამსახური საქართველოს თავდაცვის სამინისტროში, გენერალური ინსპექციის უფროსის პოსტზე გააგრძელა. 2007 წლიდან დღემდე საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარეა.

ფლობს ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებს. ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი.

### **კომისიის წევრი - ბატონი დავით პატარაია**

დავით პატარაია დაიბადა 1971 წლის 1 ოქტომბერს, ქ. თბილისში.

1988 წელს, ქ. თბილისის 150-ე საშუალო სკოლის ოქროს მედალზე დამთავრების შემდეგ, დავით პატარაიამ სწავლა განაგრძო ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჯერ იურიდიულ, შემდეგ კი საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე. 1993 წელს დავით პატარაიამ დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იურისტის კვალიფიკაციით.

1992-1993 წლებში სწავლობდა ჯერ ნიურნბერგის, შემდეგ კი საარლანდის უნივერსიტეტებში.

1992 წელს იყო საქართველოს სახელმწიფო საბჭოს წევრი.

1997 წლიდან დღემდე მუშაობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე, ჯერ მასწავლებლად, ხოლო 2004 წლიდან – დოცენტის თანამდებობაზე. კითხულობს ლექციებს და მიჰყავს სემინარების კურსი – „საერთაშორისო საჯარო სამართალი“.

2005 წლიდან არის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი. მიჰყავს ლექციების კურსი – “საერთაშორისო საჯარო სამართალი”.

1997 წლიდან 2000 წლის მაისის ჩათვლით მუშაობდა რადიო „თავისუფლების“ პოლიტიკურ მიმომხილველად. პარალელურად, 1996 წლიდან ეწეოდა საადვოკატო პრაქტიკას.

2000 წლის 11 ივნისს, საქართველოს პრეზიდენტის N596 განკარგულებით, დაინიშნა საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში საქმიანობის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის პირველი შემადგენლობის წევრად, უფლებამოსილების 2 წლის ვადით. 2002 წლის 11 ივნისს, საქართველოს პრეზიდენტის N751 განკარგულებით მეორე ვადით დაინიშნა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრად, უფლებამოსილების 6 წლის ვადით.

2002 წლის 18 სექტემბრიდან არის იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

ჰყავს ორი შვილი.

## კომისიის წევრი - ბატონი გიორგი ფრუიძე

გიორგი ფრუიძე დაიბადა 1968 წელს 23 სექტემბერს ქ. თბილისში. 1985 წელს დაამთავრა ქ. თბილისის N 102-ე საშუალო სკოლა. 1985-1992 წლებში სწავლობდა საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ჰიდრომელიორაციის ფაკულტეტზე.

2002-2004 წლებში სწავლობდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე, სპეციალობით - ფინანსები და საბანკო საქმე.

1987-1989 წლებში იმყოფებოდა სავალდებულო სამხედრო სამსახურში.

1993-1994 წლებში მუშაობდა სს „საქგვირაბმშენის“ საკონსტრუქტორო ბიუროში ინჟინრის თანამდებობაზე.

1994-1996 წლებში მუშაობდა საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიური დეპარტამენტის სამშენებლო სამმართველოში ინჟინრის თანამდებობაზე.

1996-2001 წლებში მუშაობდა ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციული ინსპექციის სტრუქტურაში სხვადასხვა, ბოლოს განყოფილების უფროსის თანამდებობაზე.

2001-2003 წლებში (ლიკვიდაციამდე) მუშაობდა საქართველოს ქონების მართვის სამინისტროში სხვადასხვა თანამდებობაზე, მათ შორის ამავე სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსად, მინისტრის პირველ მოადგილედ.

2003 წლიდან 2004 წლის ივლისამდე მუშაობდა სსიპ „საწარმოთა მართვის სააგენტოს“ თავმჯდომარის მოადგილედ.

2004 წლის 19 ივლისიდან საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 19 ივლისის N 618 განკარგულებით დაინიშნა და დღემდე მუშაობს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში კომისიის წევრის თანამდებობაზე.

ჰყავს მეუღლე და ვაჟიშვილი.

### **კომისიის წევრი- ბატონი ზურაბ ნონიკაშვილი**

ზურაბ ნონიკაშვილი დაიბადა 1957 წ. 6 ივლისს ქ. თბილისში. 1974 წელს დაამთავრა ქ. თბილისის რკინიგზის მე-2 საშუალო სკოლა.

1975-1980 წლებში სწავლობდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ფაკულტეტზე, სპეციალობით მრეწველობის მგეგმავი ეკონომისტი.

1981 წ. მუშაობდა ს/გ “თემქის” სპეცსაკონსტრუქტორო ბიუროში ინჟინრის თანამდებობაზე.

1981-1989 წლებში მუშაობდა ს/გ “სამთო ქიმიასში” სხვადასხვა თანამდებობაზე (ბოლოს მთავარი ბუღალტრის მოადგილე).

1989-1992 წლებში მუშაობდა “მე-4 მაცივარკომბინატში” საგეგმო-საწარმოო განყოფილების უფროსად.

1992-1993 წლებში მუშაობდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სასინჯო ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციაში მთავარ ბუღალტრად.

1993 წელს გაწვეულ იქნა საქართველოს შეიარაღებულ ჯარებში, სადაც 2002 წლამდე მსახურობდა თავდაცვის სამინისტროს მთავარი სახაზინო-საბიუჯეტო სამმართველოს საბიუჯეტო სამმართველოს უფროსის მოადგილედ/ბიუჯეტის დაგეგმვისა და ანალიზის განყოფილების უფროსად.

1998 წელს მივლინებულ იქნა გერმანიაში “NATO”-ს სკოლაში. არის თადარიგის ოფიცერი.

2003 წლის 30 ნოემბრიდან 2005 წლის 7 ივნისამდე მუშაობდა საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შემდეგ თანამდებობებზე: კომისიის წევრი, კომისიის მდივანი, კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი.

2005 წლის 5 ივლისიდან საქართველოს პრეზიდენტის N 533-ე განკარგულებით დაინიშნა კომისიის წევრის თანამდებობაზე. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

### **კომისიის წევრი ბატონი კარლო კვიციანი**

დაიბადა 1958 წლის 9 აგვისტოს ქ. ქუთაისში

1965-1975 წლებში სწავლობდა თბილისის #60 საშუალო სკოლაში. 1975 წელს ჩააბარა და 1980 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ქიმიის ფაკულტეტი. 1984-1987 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პ. მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის ასპირანტურის კურსი გაიარა, ნავთობქიმიის სპეციალობით.

2001 წელს კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის “მშვიდობის მშენებლობისა და კონფლიქტების მოგვარების” სამეტაპიანი კურსი გაიარა. არის მეცნიერებათა კანდიდატი.

1984-1999 წლებში ოთხი სამეცნიერო სტატიის, თორმეტი საკავშირო და საერთაშორისო ყრილობის, სიმპოზიუმის და კონფერენციის მონაწილე, თეზისები გამოქვეყნებულია, ასევე მიღებული აქვს ერთი საავტორო მოწმობა გამოგონებაზე.

არის 2001-2005 წლებში საარჩევნო და კონფლიქტების თემებზე გამართული მრავალი კონფერენციისა და სემინარის მონაწილე. 2003 წელს საარჩევნო თემატიკაზე გამოქვეყნებული ხუთი ბროშურის ავტორია.

ბატონი კვიციანი 1981-2007 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პ. მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის თხევადი საწვავის ქიმიისა და ტექნოლოგიის ლაბორატორიაში მუშაობდა უფროსი ლაბორანტის, უმცროსი მეცნიერ თანამშრომლის, უფროსი მეცნიერ თანამშრომლის და ლაბორატორიის გამგის მოადგილის თანამდებობებზე. 2003 წელს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრად დაინიშნა. 2004 წელს საქართველოს საარჩევნო კომისიაში გადაყვანილ იქნა კომისიის მდივნის თანამდებობაზე. 2005-2007 წლებში მუშაობა გააგრძელა შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგურის" სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარის თანამდებობაზე. 2007 წელს დაინიშნა შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგურის" გენერალური დირექტორის მრჩეველად. 2007 წლის 17 ნოემბრიდან საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრია.

ფლობს ქართულ, რუსულ და ფრანგულ ენებს.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

## **კომისიის ბიუჯეტი და ფინანსური რესურსები**

### **საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2007 წლის ბიუჯეტი**

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში „კომისია“) 2007 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის წლიური გეგმის მიხედვით, წლიურმა დარიცხულმა შემოსავალმა რეგულირების საფასურის მიხედვით, ნაცვლად 2007 წლის წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული 6,960,000.00 ლარისა (მათ შორის 1,200,000.00 ლარი სარეზერვო ფონდის ჩათვლით), შეადგინა 6,498,980.85 ლარი (ანგარიში თან ერთვის), რაც 461,019.15 ლარით ნაკლებია ბიუჯეტით დამტკიცებულ მაჩვენებელზე. სარეზერვო ფონდის გარეშე, ნაცვლად ბიუჯეტით გათვალისწინებული 5,760,000.00 ლარისა შეადგინა 6,498,980.85 ლარი, რაც 738,980.35 ლარით, ანუ 12.83%-ით მეტია კომისიის ბიუჯეტით დამტკიცებულ მაჩვენებელზე. დარიცხული შემოსავლების ზრდის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქმიანობაზე ავტორიზებული პირების შემოსავლების ზრდა და 2006 წლის „რეგულირების საფასური“-ს გაანგარიშებების დაგვიანებით წარმოდგენა ანუ 2006 წლის გარკვეული შემოსავლების დამატება 2007 წლის წლიურ შემოსავლებზე.

2007 წლის შემოსავლების ზრდასთან ერთად, 394,941.03 ლარით ანუ 5,9%-ით ნაკლებია კომისიის 2007 წლის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი, რომელმაც 6,656,688.00 ლარის ნაცვლად შეადგინა 6,261,746.97 ლარი.

კომისია აღნიშნავს, რომ მიუხედავად ხარჯვითი ნაწილის უმრავლეს მუხლებში მიღებული ეკონომიისა, ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცალკეულ მუხლებში მაინც აღინიშნა გადახარჯვები. 2007 წლის ფაქტიური მონაცემებით ბიუჯეტის ცალკეულ მუხლებში მიღებული ეკონომია, საოპერაციო, ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცალკეული პრიორიტეტული მუხლების დაფინანსების უზრუნველყოფის მიზნით კომისიამ,

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ და „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში, მიზანშეწონილად ჩათვალა, ცალკეულ შემთხვევებში, საოპერაციო დანახარჯების მუხლებში კორექტირების შეტანა და ცალკეულ მუხლებში მიღებული ეკონომიით გამოთავისუფლებული დამატებითი ფინანსური რესურსების და გასულ წლებში არსებული ფინანსური რეზერვის საშუალებით დაეფინანსებინა სხვა პრიორიტეტული მუხლები. კერძოდ:

კომუნიკაციის, ელექტროენერჯისა და წყლის ხარჯმა ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 180,000.00 ლარისა შეადგინა 230,623.18 ლარი, რაც 50,623.18 ლარით მეტია კომისიის ბიუჯეტით დამტკიცებულ წლიურ მაჩვენებელზე. ამ პუნქტით არსებული დანახარჯებიდან ელექტროენერჯის მთლიანმა ხარჯმა შეადგინა 37,649.72 ლარი; წყლის ხარჯმა 8,180.40 ლარი; ბუნებრივი აირის ხარჯმა 6,823.61 ლარი, ხოლო კომუნიკაციის ხარჯმა 177,969.45 ლარი, სადაც, კომისიის ინტერნეტის და რადიომონიტორინგის სტაციონარული სისტემის სადგურებთან (ურთას მთა, ძეგვის მთა) კავშირისთვის თბილისი-ფოთის ციფრული (ოპტიკურ-ბოჭკოვანი) არხის იჯარის მომსახურებამ შეადგინა 64,071.00 ლარი, რაც საერთო ჯამში 50,623.18 ლარით ანუ 28.12%-ით აღემატება ბიუჯეტით განსაზღვრულ წლიურ მაჩვენებელს;

ავტომანქანების საწვავის, შენახვისა და რემონტის ხარჯებმა 2007 წლის ფაქტიური დანახარჯების მიხედვით შეადგინა 123,404.67 ლარი რაც 43,404.67 ლარით ანუ 54.26%-ით მეტია კომისიის ბიუჯეტით დამტკიცებულზე. აღნიშნული ხარჯიდან 72,644.82 ლარი შეადგენს მოხმარებული საწვავის ხარჯს, ხოლო 50,759.85 ლარი კომისიის ბალანსზე არსებული ავტომანქანების რემონტის ხარჯს. ხარჯვითი ნაწილის გაზრდა გამოიწვია, საწვავზე ფასების მატებამ, კომისიის საჭიროებისათვის ავტომანქანების რაოდენობის გაზრდამ და რადიომონიტორინგის სტაციონარული სისტემის სადგურებთან (ურთას მთა, ძეგვის მთა) მუდმივმა და რეგულარულმა მიმოსვლამ და მონიტორინგის ჯგუფის მუშა გასვლებმა.

მივლინების წლიური ხარჯები გეგმით გათვალისწინებულთან შედარებით გაზრდილია 30,046.40 ლარით ანუ 20.03%-ით აღემატება 2007 წლის შესაბამის მაჩვენებელს. მივლინების ხარჯების ზრდა გამოწვეულია კომისიის საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდისათვის, აუცილებელი და მიზნობრივი მივლინებების ფაქტიური დაფინანსებით, რომელთაგან აღსანიშნავია ქვეყნის ფარგლებს გარეთ, ციფრული მაუწყებლობის ახალი ტექნოლოგიების დანერგვისა და ახალ სამაუწყებლო სტანდარტებთან და სიხშირეების საერთაშორისო კოორდინირებულ განაწილებასთან დაკავშირებულ სამუშაო კონფერენციებში და ჯგუფებში (რადიოკავშირის რეგიონალური კონფერენცია RRC, რადიოკავშირის მსოფლიო კონფერენცია ITU) მონაწილეობა, აგრეთვე საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული მივლინებები, რომლებიც ძირითადად ემსახურება ლიცენზიანტი კომპანიების სალიცენზიო პირობების და რადიოელექტრონული მოწყობილობების პელინგაციას და ტექნიკური მახასიათებლების ადგილზე შემოწმებას;

კონფერენციების ჩატარების, მუშა სემინარების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და სპეციალისტთა და ექსპერტთა მომსახურებისა და სხვა ხარჯები წლიური, ფაქტიური მონაცემების მიხედვით შეადგენს 45,992.73 ლარს ანუ გაწეული დანახარჯი 11,255.33 ლარით (37.52%-ით) მეტია კომისიის ბიუჯეტით დამტკიცებულ მაჩვენებელზე, რაც ძირითადად გამოწვეულია მივლინებების დროს კონფერენციებში და მუშა-სემინარებში



მონაწილეობის (29255.33 ლარი) და თანამშრომელთა გადამზადების ღირებულების (16,737.40 ლარი) გადასახადებით;

39,607.55 ლარით არის გაზრდილი სხვა საერთო ხარჯების მუხლით გათვალისწინებული დანახარჯები, რომელმაც ნაცვლად კომისიის ბიუჯეტით დადგენილი 100,000.00 ლარისა შეადგინა 139,607.55 ლარი. აღნიშნული გადახარჯვა გამოიწვია: კომისიის მიერ სარეკლამო სააგენტოების მეშვეობით განცხადებების გავრცელების ღირებულებამ, რამაც 2007 წლის ფაქტიური მონაცემების მიხედვით შეადგინა 15,001.28 ლარი, შენობის დაცვის ხარჯებმა – 58,800.00 ლარი, კონდიციონერების გადატანის, მონტაჟისა და რემონტის ფაქტიურმა ხარჯებმა – 6,688.79 ლარი, სადაზღვევო (სამედიცინო დაზღვევის ხარჯების გარდა) ხარჯებმა - 4988.00 ლარი, სანიტარული მომსახურების ხარჯებმა - 2,710.94 ლარი, სამეურნეო ხარჯებმა - 11,169.06 ლარი, ავტომანქანებით მომსახურების (ტაქსი) ხარჯებმა - 4,881.06 ლარი, კომისიის ავტომანქანების რეცხვის ხარჯმა - 11,930.00 ლარი, სხვა წინასწარ გაწეულმა ხარჯებმა (კარტირების დატენვა, კომპიუტერების მაკომპლექტებელი ნაწილების შეძენა) შეადგინა 17,788.31 ლარი, კომპიუტერულ-პროგრამულმა და სხვა საგადასახადო (ნოტარიუსის ხარჯები) ხარჯმა ჯამში შეადგინა 5650.11 ლარი;

ამავე დროს, 2007 წლის კომისიის ბიუჯეტის ძირითად მუხლებში ცხრა თვის ფაქტიური შედეგების მიხედვით მიღებულია ეკონომია, კერძოდ:

ძირითადი საშუალებების შეძენაზე გაწეულმა დანახარჯებმა 2,266,947.57 ლარი (მათ შორის: შეძენილი იქნა ტელემეტრული ელექტრონული სისტემის (ფიფლმეტრები) მოწყობილობა) ანუ შესაბამის პერიოდში ბიუჯეტით დამტკიცებულზე 333,052.43 ლარით (12.80%-ით) ნაკლები შეადგინა;

საკანცელარიო, საფოსტო, ჟურნალ-გაზეთების შეძენისა და პოლიგრაფიული მომსახურების წლიურმა დანახარჯებმა 48,329.11 ლარი ანუ დაგეგმილზე 1,670.89 (3.34%-ით) ლარით ნაკლები შეადგინა. მათ შორის: საკანცელარიო ხარჯებმა შეადგინა 10,940.65 ლარი, საფოსტო ხარჯებმა – 8,467.75 ლარი, პოლიგრაფიულმა ხარჯებმა – 15,557.00 ლარი, ხოლო ჟურნალ-გაზეთების გამოწერის ხარჯებმა – 8,376.10 ლარი;

სამეცნიერო და საკონსულტაციო სამუშაოთა ხარჯებმა შეადგინა 22,045.00) ლარი ანუ კომისიის წლიური ბიუჯეტით დამტკიცებულზე 27,955.00 ლარით ანუ 55.91%-ით ნაკლები მათ შორის: აუდიტორული შემოწმება -2,545.00 ლარი, ხოლო სოციოლოგიური კვლევის ხარჯებმა შეადგინა – 19,500.00 ლარი;

წარმომადგენლობითი ხარჯების მუხლით განსაზღვრულმა ხარჯებმა 2007 წლის ფაქტიური მონაცემების შესაბამისი პერიოდის მიხედვით ნაცვლად ბიუჯეტით გათვალისწინებული 15,000.00 ლარისა შეადგინა 10,668.00 ლარი, რაც 4,332.00 ანუ 28.88%-ით ნაკლებია კომისიის წლიური ბიუჯეტით დამტკიცებულზე;

კომისიის ოფისის მიმდინარე რემონტის მუხლით 2007 წელს შესაბამისი პერიოდისათვის გაწეულია ელექტროკარების რემონტი თანხით 500.00 ლარი, კომისიის შენობის ფასადის რემონტი თანხით 4,061.44 ლარი, ამ მუხლით კომისიის ბიუჯეტით შესაბამისი პერიოდისათვის გამოყოფილი იყო 70,000.00 ლარი, ანუ ეკონომიამ შეადგინა 65,025.56 ლარი;

ეკონომიამ აგრეთვე შრომის ანაზღაურების წლიურ, ფაქტიურ ხარჯებში, რომელმაც საბიუჯეტო ანარიცხებთან ერთად 3,069,019.51 ლარი ანუ ბიუჯეტით დამტკიცებულზე 74,980.49 ლარით ნაკლები შეადგინა;

ეკონომია მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის ძირითად ხარჯვით ნაწილშიც, რომელმაც ნაცვლად კომისიის 2007 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული 152,688.00 ლარისა, შეადგინა 50,339.19 ლარით ნაკლები ანუ 102,348.81 ლარი.

### **მარეგულირებელი კანონმდებლობა**

კომისია მარეგულირებელი საქმიანობის განხორციელებისას ხელმძღვანელობს “ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ”, “დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ” და “მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონებით, აგრეთვე მის მიერ მიღებული კანონქვემდებარე აქტებით.

### **საკანონმდებლო ცვლილებები 2007**

2007 წელს ცვლილებები შევიდა კანონებში “ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ” და “მაუწყებლობის შესახებ”. კონკრეტულად, კი ცვლილება შევიდა “ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ” საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტში, რომლითაც რეგულირების საფასურის ოდენობა განისაზღვრა ავტორიზებული პირის მიერ განხორციელებული და რეგულირებას დაქვემდებარებული საქონლის (მომსახურების) მიწოდების ან/და შესრულებული სამუშაოს მთლიანი ღირებულებასა (დღგ-ის გარეშე) და იმავე საანგარიშო თვეში სხვა ავტორიზებული პირების მიერ გაწეულ საშვების და/ან ურთიერთჩართვის მომსახურებაზე აღიარებული გადასახდელებს შორის სხვაობის 0,5 პროცენტით; “მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონში განხორციელდა რედაქციული ხასიათის ცვლილება, კერძოდ მაუწყებლის ქცევის კოდექსის მიღების ვადად განისაზღვრა 2007 წლის 1 ივლისი.

## თავი II განხორციელებული სამუშაოების ანალიზი

### კომისიის დადგენილებები

#### დადგენილება № 1

რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმის დამტკიცების შესახებ” საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 30 ივნისის N 6 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

აღნიშნული ცვლილებით დაკონკრეტდა და განიმარტა სიხშირული დიაპაზონებისა და სიხშირული ზოლის ცნებები და დადგენილება შესაბამისობაში მოვიდა ”ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ” საქართველოს კანონთან.

#### დადგენილება № 2

რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულების დამტკიცების შესახებ” საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2005 წლის 12 დეკემბრის № 13 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

2005 წელს მიღებულ დადგენილებაში შეტანილი ცვლილება ითვალისწინებს სააბონენტო ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად და ციფრების სამნიშნა კომბინაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის საწყისი საფასურის ოდენობის გაზრდას, რაც განაპირობა იმ გარემოებამ, რომ 2006-2007 წლებში კომისიის მიერ სააბონენტო ნუმერაციის გამოყენებით ადგილობრივი სატელეფონო კავშირით მომსახურების განსახორციელებლად ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად ჩატარებულ აუქციონებზე, რესურსით სარგებლობის საწყის და საბოლოოდ დაფიქსირებულ ღირებულებებს შორის განსხვავება შეადგენდა არანაკლებ 5%-ს, ხოლო რიგ შემთხვევებში, ღირებულების სააუქციონო ზრდამ შეადგინა არანაკლებ 5.8-ჯერ მეტი. აქედან გამომდინარე, კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნევს, სააბონენტო ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის საწყისი საფასურის ოდენობა მიახლოებულ იქნას ჩატარებულ აუქციონებზე დაფიქსირებული საშუალო ღირებულების ოდენობასთან და შეადგინოს 2000 ლარი ერთ ათასიან სააბონენტო ნუმერაციის ბლოკზე, ნაცვლად 1500 ლარისა.

#### დადგენილება № 3

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ.

კომისიაში განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებების შედეგად, აუცილებელი გახდა კომისიის დებულების ახალი ვარიანტის შემუშავება და დამტკიცება, რომლითაც განისაზღვრა კომისიის სამართლებრივი სტატუსი, მისი შექმნის წესი და მიზნები, კომისიის ფუნქციები და საქმიანობის საგანი, წარმომადგენლობაზე

უფლებამოსილი პირის კომპეტენცია, კომისიის აპარატის სტრუქტურა, კომისიის ბიუჯეტი, აგრეთვე ლიკვიდაციის წესი და პირობები.

#### **დადგენილება № 4**

”რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმის დამტკიცების შესახებ” საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 30 ივნისის №6 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

ცვლილებების შედეგად დაკონკრეტდა რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმით გათვალისწინებული სიხშირული დიაპაზონის სარგებლობასთან დაკავშირებული საკითხები ”ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ” საქართველოს კანონით გათვალისწინებული ტექნოლოგიური ნეიტრალიტეტის პრინციპის შესაბამისად.

#### **დადგენილება № 5**

”მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტების განსაზღვრისა და კონკურენტულობის ანალიზის მეთოდოლოგიური წესების” დამტკიცების თაობაზე.

აღნიშნული დებულებით დგინდება კომისიის მიერ კონკურენციის წინასწარი რეგულირების მიზით კანონით მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებისას, კვლევისა და ანალიზის ჩატარების გამჭვირვალე პროცედურების და მეთოდოლოგიური წესები, რომელიც ითვალისწინებს: საერთო სარგებლობის ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტების განსაზღვრის, ამ სეგმენტებზე ავტორიზირებული პირების საქმიანობაში კონკურენციის კვლევისა და ანალიზის ჩატარების, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირების, ან ერთობლივად მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირების და მათთვის დაკისრებული სპეციფიკური ვალდებულებების პირობების დადგენის, აგრეთვე წილების შეძენისა და შერწყმისას ბაზრის შესაბამის სეგმენტებზე კონკურენციის გამოსავლენად წინასწარი გამოკვლევის ჩატარების მეთოდოლოგიური წესებს და პირობებს.

#### **დადგენილება № 6**

”ავტორიზებული პირების მიერ ხარჯთაღრიცხვისა და დანახარჯების განცალკევებულად განაწილების მეთოდოლოგიური წესების დამტკიცების შესახებ” საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 20 აპრილის N 5 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

დებულებში ცვლილებები და დამატებების შეტანით დაზუსტდა დებულების მუხლებით განსაზღვრული მეთოდოლოგიური წესების გამოყენების ფარგლებში დანახარჯების აღრიცხვა-განაწილებისა და შესაბამისად ტარიფების განსაზღვრის მეთოდოლოგიური წესების გამოყენების აუცილებლობა კომისიის მიერ ზღვრული ტარიფების დადგენის შემთხვევაშიც.

დებულების მე-2 მუხლში დამატებითი განმარტებების შეტანა განაპირობა ახალი კატეგორიების-საერთაშორისო ბენჩმარკებისა და მომავალ პერიოდზე ორიენტირებულობის პრინციპის განსაზღვრის აუცილებლობამ. ზემოთ აღნიშნული

ბენჩმარკისა და მეთოდოლოგიური პრინციპის განსაზღვრა განაპირობა დანახარჯების განაწილების საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკაში მიღებულ მეთოდოლოგიასთან საქართველოში დასამკვიდრებელი მეთოდოლოგიის ჰარმონიზების აუცილებლობამ.

კიდევ ერთი ცვლილებით დაზუსტდა და უფრო გამჭვირვალედ ჩამოყალიბდა კონკრეტული ავტორიზებული პირის კაპიტალის ღირებულების ოდენობის ცალსახად გაანგარიშებისა და მომსახურების სახეზე განაწილების მეთოდოლოგიური წესები.

#### **დადგენილება № 7**

”ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 17 მარტის №3 დადგენილებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე”

რეგლამენტში შესული ცვლილები ემსახურება ინტერნეტ-მომსახურების, მობილური, საერთაშორისო და საქალაქთაშორისო მომსახურების მიწოდებისას მომხმარებელთა არსებული მდგომარეობის უკეთესობისაკენ შეცვლას და თანამედროვე პირობების შესაბამისი საკომუნიკაციო მომსახურების გაწევის წესების დანერგვას. რეგლამენტში შესული ცვლილებები არეგულირებს ერთის მხრივ, კომპანიის მიერ მომსახურების გაწევის პირობებსა და კომპანიის ვალდებულებებს და მეორეს მხრივ, მომხმარებლის უფლება-მოვალეობებს. ცვლილებების შემუშავებისას, გათვალისწინებულია ევროპის ქვეყნების გამოცდილება კომუნიკაციების ამ სახეობის რეგულირებასთან დაკავშირებით და მომხმარებელთა საჩივრებიდან გამომდინარე განისაზღვრა მთელი რიგი პრიორიტეტული საკითხები, როგორცაა სტანდარტების შესაბამისი ხარისხის მომსახურება, მომხმარებელთა ინფორმაციის დაცვა, მავნე ზემოქმედებისაგან არასრულწლოვანების დაცვა, კომპანიის ანგარიშვალდებულება და პასუხისმგებლობა, გასაჩივრების შიდა მექანიზმი და სხვა.

#### **დადგენილება № 8**

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დადგენილება N 8 ”საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების” დამტკიცების თაობაზე კომისიის 2003 წლის 27 ივნისს N 1 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

განხორციელებული ცვლილებებით, რომელიც ეხება პროცედურულ საკითხებს, დადგენილება შესაბამისობაში მოვიდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მოთხოვნებთან.

#### **დადგენილება № 9**

”ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 17 მარტის № 3 დადგენილებაში ”ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე”.

ცვლილების მომზადება განპირობებულია მომსახურე კომპანიის მიერ მომხმარებლის პერსონალური ინფორმაციის გაცემის წესის საქართველოს

კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. რეგლამენტის მე-8 მუხლის ახალი რედაქცია ჩამოყალიბდა ისე, რომ თავიდან იქნეს აცილებული საკანონმდებლო კოლიზია ერთი მხრივ, ხოლო მეორე მხრივ თავიდან იქნეს აცილებული სამართალდამცავი ორგანოების მუშაობის შეფერხება.

### კომისიის გადაწყვეტილებები

2007 წელს, კომისიამ მიიღო 810 გადაწყვეტილება. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, ტიპების მიხედვით შემდეგნაირად შეიძლება დაიყოს:

გადაწყვეტილებები 2007	
გადაწყვეტილების ტიპი	რაოდენობა
განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ	6
მეზობელი ქვეყნებისათვის მინიჭებული სიხშირეების გამოყენებაზე თანხმობის გაცემის შესახებ	9
გაფრთხილების თაობაზე	6
ადმინისტრაციული სახდელის დადების/დაჯარიმების თაობაზე	8
აუქციონის ჩაშლილად გამოცხადების შესახებ	2
აუქციონის გამოცხადების შესახებ	17
აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ	20
კონკურსის გამოცხადების შესახებ	8
კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ	7
ლიცენზიის გაცემის შესახებ	34
ნუმერაციის მინიჭების შესახებ	21
ლიცენზიის გადაპირების შესახებ	14
ლიცენზიის ვადის გაგრძელების შესახებ	3
ლიცენზიის გაუქმების შესახებ	8
კომისიის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ	53
სამოყვარული რადიოსადგურით სამოყვარულო რადიოკავშირის განსახორციელებლად რადიომოყვარულთათვის რადიოელექტრონული საშუალებებისა და მაღალსიხშირული მოწყობილობების გამოყენებისათვის სახმობის მინიჭების შესახებ	21
საზღვაო ხომალდებისათვის სახმობისა და ამოცნობის ნიშნების მინიჭების შესახებ	19
ოპერატიული რადიოკავშირისათვის დამხმარე ტექნოლოგიური დანიშნულებით სიხშირეების მინიჭების შესახებ	334

ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ ლიცენზიის გაუქმების მიზნით	6
ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ გაფრთხილების თაობაზე	14
ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტა გაფრთხილების თაობაზე	5
ადმინისტრაციული წარმოების დაწყება ლიცენზიის მოდიფიცირების მიზნით	5
ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტა დაჯარიმება-სანქციონების თაობაზე	2
დავის განხილვის თაობაზე	25
დავაზე ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის თაობაზე	10
დავის დღის დანიშვნის თაობაზე	27
სხვადასხვა საკითხზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ	15
სხვადასხვა საკითხზე ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ	10
რადიოსიხშირების დამხმარე ტექნოლოგიური დანიშნულებით მინიჭების თაობაზე	6
რადიოსარელეო ხიხირების დამხმარე ტექნოლოგიური დანიშნულებით მინიჭების თაობაზე	15
დაჯარიმების მიზნით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე	3
სხვადასხვა	77

ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ” საქართველოს კანონის 64-ე მუხლის მე-11 პუნქტიდან გამომდინარე, ”არავტორიზებად პირებს, რომელთა საქმიანობა არ არის დაკავშირებული საერთო სარგებლობის ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით უზრუნველყოფასთან, ან/და ამ ქსელებითა და საშუალებებით მომსახურების მიწოდებასთან, მაგრამ საქმიანობისას საჭიროებენ ნუმერაციის დამხმარე ტექნოლოგიური დანიშნულებით გამოყენებას, კომისია ანიჭებს ნუმერაციას დამხმარე ტექნოლოგიური დანიშნულებით დროებით, 1 წლის ვადით გამოყენებისათვის.” აქედან გამომდინარე, კომისიამ 21 შემთხვევაში მიიღო გადაწყვეტილება ნუმერაციის მინიჭების შესახებ.

როგორც ცხრილში 1 იხილეთ, კომისიის მიერ 2007 წელს, 8 კომპანიასთან მიმართებაში მიღებულია ლიცენზიის გაუქმების გადაწყვეტილება. აქედან ოთხ შემთხვევაში, კომპანიების დირექტორებმა, თავად მოითხოვეს ლიცენზიის გაუქმება; დანარჩენ ოთხ შემთხვევაში, კი კომისიამ თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, თავად

მიიღო გადაწყვეტილება, კომპანიების მიერ პრაქტიკული საქმიანობის შეუსრულებლობის გამო.

ელექტრონული კომინიკაციების შესახებ საქართველოს კანონი ითვალისწინებს ამოწურვადი რესურსის მეორადი ბაზრის შექმნას და შესაბამისად, მისი გადაპირების პროცედურას. კომისიამ 2007 წლის განმავლობაში, მიიღო 14 გადაწყვეტილება გადაპირების შესახებ; რომელთა მიხედვითაც გადაპირებას დაექვემდებარა ნუმერაციის რესურსით სარგებლობის სულ 8 და რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის სულ 10 ლიცენზია.

2007 წელს კომისიის მიერ მიღებულია 3 გადაწყვეტილება (სულ 4 ლიცენზიის) კომპანიების მფლობელობაში არსებული ლიცენზიების ვადის გაგრძელების შესახებ. აქედან 2 შემთხვევაში, ეს შეეხებოდა ნუმერაციის რესურსით სარგებლობის და 2 შემთხვევაში კი რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიებს.

ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ლიცენზიის გაცემის შესახებ მიღებულია 17 გადაწყვეტილება, საიდანაც სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილია 394,031 ლარი. კომისიამ 2007 წელს ასევე გასცა 5 კერძო საერთო რადიომაუწყებლობის, 1 კერძო სპეციალიზირებული რადიომაუწყებლობის, 1 კერძო საერთო ტელემაუწყებლობისა და 1 კერძო ტელემაუწყებლობის ლიცენზია (სულ 8 ლიცენზია ტელერადიომაუწყებლობის სფეროსი), საიდანაც სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადაირიცხა 196 277 ლარი.

2007 წელს, კომისიის მიერ გაცემულია 4 რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზია, რის შედეგადაც სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადაირიცხა 32, 862.288 ლარი.

334 გადაწყვეტილება მიღებულია სიხშირეების მინიჭების შესახებ, რომლებიც განკუთვნილია ოპერატიული რადიოკავშირისათვის და გამოყენებული იქნება დამხმარე ტექნოლოგიური დანიშნულებით. 5 გადაწყვეტილება შეეხება რადიოსიხშირეების მინიჭებას და ყველა მათგანი განსაზღვრულია დამხმარე ტექნოლოგიური ან არაკომერციული საქმიანობისათვის. აქედან მხოლოდ ერთ შემთხვევაში იქნა გამოყენებული საქართველოს კანონის "ელექტრონული კომუნიკაციების" შესახებ 64-ე მუხლის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც "ავტორიზირებულ პირებს, რომლებიც ავტორიზებული საქმიანობის განხორციელების უზრუნველსაყოფად, არაკომერციული მიზნითა და შიდატექნოლოგიური დანიშნულებით ესაჭიროებათ რადიოსარელეო ქსელი ან რადიოსარელეო ხაზის ერთი ან რამდენიმე მონაკვეთი, მათ მიერ კომისიაში შეტანილი განაცხადის შესაბამისად, რომელიც უნდა შეიცავდეს ქსელისა და სადგურების ძირითად ტექნიკურ მახასიათებლებს, კომისია უფლებამოსილია ასეთ პირებს 10 წლის ვადით მიანიჭოს რადიოსიხშირეები აუქციონის გამართვის გარეშე. ამ შემთხვევაში პირი იხდის ამ რესურსის სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის საწყის ოდენობას, რომელიც განისაზღვრება "რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულებით"; აქედან გამომდინარე, კომპანიას განესაზღვრა 22.680 ლარის გადახდის ვალდებულება სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ.

რადიოსარელეო სიხშირეების მინიჭების შესახებ 2007 წელს მიღებულია 15 გადაწყვეტილება. აქედან 11 შემთხვევაში მინიჭებული სიხშირეები გამოყენებული უნდა იყოს დამხმარე ტექნოლოგიური დანიშნულებით და კანონმდებლობის მიხედვით, მასზე გადასახადი არ არის განსაზღვრული; ორ შემთხვევაში, რადიოსარელეო სიხშირეები მიენიჭა ავტორიზირებულ პირს, არაკომერციული მიზნით და შიდა ტექნოლოგიური



დანიშნულებით გამოყენებისათვის, საიდანაც 26, 348 ლარი გადაირიცხა სახელმწიფო ბიუჯეტში; ერთი გადაწყვეტილება კი შეეხო რადიოსიხშირეები გამოყენებული იქნება მობილური საკომუნიკაციო მომსახურებისათვის და 2 780 211 ლარი გადაირიცხა სახელმწიფო ბიუჯეტში.

## აუქციონები/კონკურსები

2007 წელს მიღებული გადაწყვეტილებებიდან 54 აუქციონებსა და კონკურსებს შეეხოდა.

- 20 აუქციონში გამარჯვებულის შესახებ
- 17 აუქციონის გამოცხადების შესახებ
- 2 გამოცხადებული აუქციონის ჩაშლის შესახებ
- 8 კონკურსის გამოცხადების შესახებ
- 7 კონკურსში გამარჯვებულის გამოცხადების შესახებ

2007 წელს აუქციონები გამოცხადდა:

- ადგილობრივი ფართოზოლოვანი უსადენო დაშვების ქსელებითა და საშუალებებით უზრუნველსაყოფად რადიოსიხშირული სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად- 3
- სააბონენტო ნუმერაციის გამოყენებით ადგილობრივი საკომუნიკაციო მომსახურების განსახორციელებლად- 8 (აქედან ორი ჩაშლილად გამოცხადდა)
- ნუმერაციის რესურსის სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად- 3
- რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად-1
- მობილური საკომუნიკაციო მომსახურების განსახორციელებლად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად-1

ამასთან, 2007 წელს ჩატარდა 2006 წელს გამოცხადებული აუქციონები:

- რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად- 1 აუქციონი, შემოვიდა 19 768 ლარი
- სააბონენტო ნუმერაციის გამოყენებით ადგილობრივი საკომუნიკაციო მომსახურების განსახორციელებლად 2 აუქციონი, შემოვიდა 618,750 ლარი
- ნუმერაციის რესურსის სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად- 34,250 ლარი.

სულ 2007 წელს ჩატარებული აუქციონებიდან შემოვიდა 54 166 839. 013 ლარი.

## კონკურსები

2007 წელს გამოცხადდა კერძო საერთო რადიომაუწყებლობაზე ლიზენციის მისაღებად 7 კონკურსი (აქედან ერთი 2007 წელს არ ჩატარებულა), ხოლო კერძო სპეციალიზირებულ რადიომაუწყებლობაზე ლიცენზიის მისაღებად 1 კონკურსი.

შემოსული თანხები ასე გადანაწილდა:

- კერძო საერთო რადიომაუწყებლობაზე 147 932 ლარი
- კერძო სპეციალიზირებულ რადიომაუწყებლობაზე 48 357 ლარი.

სულ- 196,289 ლარი.

## ავტორიზაცია

2007 წლის ბოლოსათვის ავტორიზაცია გავლილი ჰქონდა სულ 212 კომპანიას, აქედან:

- ადგილობრივი საკომუნიკაციო მომსახურებაზე-82
- საქალაქთაშორისო საკომუნიკაციო მომსახურებაზე-68
- საერთაშორისო საკომუნიკაციო მომსახურებაზე-76
- მობილურ საკომუნიკაციო მომსახურებაზე-20
- ინტერნეტით მომსახურებაზე-83
- სხვა საკომუნიკაციო მომსახურებაზე-22
- საკაბელო სატრანზიტო ტელემაუწყებლობაზე-97
- საკაბელო სატრანზიტო რადიომაუწყებლობაზე-20
- სამაუწყებლო მომსახურებაზე-10


2007 წელს ავტორიზაცია გაიარა 41 იურიდიულმა და ფიზიკურმა პირმა; აქედან:

- ადგილობრივ საკომუნიკაციო მომსახურებაზე-18
- ინტერნეტით მომსახურებაზე- 25
- საკაბელო სატრანზიტო ტელემაუწყებლობაზე- 21
- საერთაშორისო საკომუნიკაციო მომსახურებაზე- 17
- მობილური საკომუნიკაციო მომსახურებაზე-7
- საქალაქთაშორისო საკომუნიკაციო მომსახურებაზე-14
- სამაუწყებლო მომსახურებაზე-7
- საკაბელო სატრანზიტო რადიომაუწყებლობაზე-14.

2007 წელს კომისიას ავტორიზაციის გაუქმების თხოვნით მომართა 7 კომპანიამ და 4 ინდივიდუალურმა მეწარმემ.


ზემოთ აღნიშნული გაუქმებული დეკლარაციებიდან 4 კომპანიას და 3 ინდივიდუალურ მეწარმეს გარკვეული ტექნიკური და ფინანსური სიძნელეების გამო საერთოდ არ დაუწვია საქმიანობა. დანარჩენი კომპანიების ავტორიზაციის გაუქმება მოდიებული ინფორმაციის თანახმად, ტექნოლოგიური პროგრესისა და ბაზრის კონკურენტულ სეგმენტზე არსებული მაღალი კონკურენციის შედეგია.

## ლიცენზირება



2007 წლის ბოლოსათვის, გაცემული იყო სულ მაუწყებლობის 99 ლიცენზია, აქედან წლების მიხედვით განაწილება იხილეთ გრაფიკზე.

2007 წელს მდგომარეობით, კომისიის მიერ გაცემულია სულ 57 ლიცენზია რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობაზე, აქედან წლების მიხედვით, ასე გადანაწილდა:



## ნუმერაციის რესურსი

კომისია უფლებამოსილია განკარგოს ქვეყნის ერთ-ერთი ამოწურვადი- ნუმერაციის რესურსი; კანონმდებლობის მიხედვით, კომისია ამ უკანასკნელის დანიშნულების მიხედვით, ლიცენზიით ან გადაწყვეტილებით ანიჭებს ნუმერაციის რესურსს კომპანიას.

სულ კომისიას გაცემული აქვს 339 ლიცენზია ამა თუ იმ ნუმერაციის რესურსზე. მაგალითად, საქართველოს მასშტაბით გაცემულია ლიცენზია სულ 48 ნუმერაციის რესურსზე:

სამოქმედო ზონა	რესურსი	კომპანია
საქართველო	880	ალფაკომი
საქართველო	861	აჭარის ელექტროკავშირი
საქართველო	8057	ნიუკომი
საქართველო	896	მაგთიკომი
საქართველო	850	მაგთიკომი
საქართველო	851	მაგთიკომი
საქართველო	895	მაგთიკომი
საქართველო	855	ჯეოსელი
საქართველო	08	ჯეო ცნობარი
საქართველო	897	მობიტელი
საქართველო	890	მაგთიკომი
საქართველო	818	გლობალ ერთი
საქართველო	819	ინფოტელი
საქართველო	866	კავკასიის ციფრული ქსელები
საქართველო	814	კეთილი ნების კომუნიკაციები-გუდვილკომი
საქართველო	816	საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია
საქართველო	810	საქართველოს ტელეკომი
საქართველო	007	საქართველოს ტელეკომი
საქართველო	811	ეგრისი
საქართველო	812	ეგრისი
საქართველო	817	ეგრისი
საქართველო	865	ეგრისი
საქართველო	815	საქტელკომ პლიუსი
საქართველო	862	ჯეოსელი
საქართველო	813	მაკროკომი
საქართველო	807	ჯორჯია ონლაინი
საქართველო	864	საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია
საქართველო	869	სერვისი
საქართველო	863	შავი ზღვის ტელეკომი
საქართველო	868	მაქსტელი
საქართველო	899	მაგთიკომი

საქართველო	898	მაგთიკომი
საქართველო	877	ჯეოსელი
საქართველო	893	ჯეოსელი
საქართველო	891	მაგთიკომი
საქართველო	853	კომუნიკაციების საკონსულტაციო ჯგუფი
საქართველო	06	ტელენეტი
საქართველო	8051	ტელენეტი
საქართველო	860	ჯეონეთი
საქართველო	854	ლაგი
საქართველო	867	ჯეოტელი
საქართველო	870	მინეტა ვენჩერს ეს. ეი
საქართველო	878	საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია
საქართველო	858	ჯეოსელი
საქართველო	879	მობიტელი
საქართველო	878	ლუნეტი
საქართველო	8040	ინტელფონი
საქართველო	871	მობიტელი

თბილისის მასშტაბით, 87 ნუმერაციის რესურსზეა გაცემული ლიცენზიები სხვადასხვა წლებში.

## ბაზრის სეგმენტების კვლევა და ანალიზი

2007 წელს ჩატარდა ინტერნეტის ქსელით საცალო და საბითუმო მომსახურების ბაზრის და მაგისტრალურ არხებთან დაშვების მომსახურების ბაზრის სეგმენტების კვლევა და ანალიზი.

ინტერნეტის ქსელით საცალო და საბითუმო მომსახურების ბაზრის სეგმენტების კვლევის და ანალიზის საგნად განისაზღვრა საცალო ბაზრის სეგმენტზე - "ბოლო მომხმარებლის ინტერნეტის ქსელით მომსახურება" და საბითუმო ბაზრის სეგმენტზე - "ძირითადი საკომუნიკაციო ქსელის პაკეტური კომუტაციის ტერმინალურ ელემენტებთან, მათ რესურსებთან და სიმძლავრეებთან დაშვება", ჩამოყალიბებული კონკურენციის კვლევისა და ანალიზის ჩატარება, აგრეთვე ამ სეგმენტებზე კონკურენციის წინასწარი რეგულირების მიზნით მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირების გამოვლენა და "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად, სპეციფიკური ვალდებულებების დაკისრება. აღნიშნული კვლევის ჩატარების მოთხოვნით კომისიას მომართა ავტორიზირებულმა პირებმა. ავტორიზებული პირები აღნიშნავენ, რომ ინტერნეტის მომსახურების მიმწოდებელი ოპერატორების ზემოაღნიშნული ჯგუფი ზღუდავს, როგორც საკუთარ სერვერებზე განთავსებულ ინტერნეტ გვერდებთან (ე.წ. კონტენტთან) მათი აბონენტების ხელმისაწვდომობას, ასევე პირიქით, საკუთარ აბონენტებს უზღუდავს სხვა ინტერნეტ მომსახურების მიმწოდებელი კომპანიების ქსელებში განთავსებულ ინტერნეტ-რესურსებთან, მათ შორის ინტერნეტ გვერდებთან წვდომას.

კომისიამ, ბოლო მომხმარებლის ინტერნეტის ქსელით მომსახურების საცალო და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული საბითუმო ბაზრის შესაბამის, აგრეთვე ინტერნეტის მომსახურების საბითუმო ბაზრის შესაბამის სეგმენტებად განსაზღვრა შემდეგი:

- ინტერნეტ-მომსახურების საცალო ბაზრის სეგმენტი
- სპილენძის სააბონენტო სახაზო-საკაბელო წყვილების ფართოზოლოვან რესურსთან დაშვების საბითუმო ბაზრის მჭიდროდ დაკავშირებული სეგმენტი
- ინტერნეტის ქსელით საბითუმო მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტი

კომისიამ ჩატარებული კვლევის შედეგად, გადაწყვიტა, რომ ბოლო მომხმარებლის ინტერნეტის ქსელით მომსახურების საცალო ბაზრის სეგმენტის საზღვრებში განისაზღვროს ბოლო მომხმარებლების ფართოზოლოვანი ინტერნეტ-მომსახურების და "ე.წ. დაილაპ კომუტირებადი ინტერნეტით მომსახურების" სახეები. კომისიამ განსაზღვრა ინტერნეტის ქსელით მომსახურების საცალო ბაზრის სეგმენტების გეოგრაფიული საზღვრები და მათზე დაადგინა მნიშვნელოვანი საბაზრო ძალის მქონე ოპერატორები. გამოვლენილ პირებს დაეკისრათ ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველყოფისა და ბოლო მომხმარებლის დისკრიმინაციის აკრძალვის ვალდებულება, რომლისთვისაც დაკონკრეტდა პირობები.

კომისიამ ბოლო მომხმარებლის ინტერნეტის ქსელით მომსახურების საცალო ბაზრის სეგმენტი და სპილენძის სააბონენტო სახაზო-საკაბელო წყვილების ფართოზოლოვან რესურსთან დაშვების საბითუმო ბაზრის შესაბამისი სეგმენტი განსაზღვრა, როგორც მჭიდროდ დაკავშირებული სეგმენტები და განსაზღვრა მათი გეოგრაფიული საზღვრები. გამოვლინდა სპილენძის სააბონენტო სახაზო-საკაბელო წყვილების ფართოზოლოვან რესურსთან დაშვების საბითუმო ბაზრის შესაბამის სეგმენტზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირები. მათ დაეკისრათ ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის ვალდებულება კონკრეტული პირობებით.

რაც შეეხება მაგისტრალურ არხებთან დაშვების მომსახურების ბაზრის სეგმენტების კვლევა და ანალიზს კვლევის და ანალიზის საგნად განისაზღვრა - "მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული სისტემების ტერმინალურ ელემენტებთან და მათ რესურსებთან დაშვებისა" და "მაგისტრალური საკომუნიკაციო (გატარების) ციფრული სისტემის სახაზო საშუალებებთან და მათ რესურსებთან დაშვების", საბითუმო ბაზრის შესაბამის სეგმენტებზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის ჩატარება, აგრეთვე ამ სეგმენტებზე კონკურენციის წინასწარი რეგულირების მიზნით, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირების გამოვლენა და "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად, სპეციფიკური ვალდებულებების დაკისრება.

## **ზედა ზღვრული ტარიფების დადგენა**

კომისიის მიერ ჩატარდა ინტერნეტის ქსელით საცალო და საბითუმო მომსახურების ბაზრის სეგმენტებზე კვლევა და ანალიზი, რომლის შედეგადაც სპილენძის სააბონენტო სახაზო-საკაბელო წყვილების ფართოზოლოვან რესურსთან დაშვების საბითუმო ბაზრის შესაბამის სეგმენტზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზირებული პირები დადგინდა. მათ, სხვა სპეციფიკურ ვალდებულებებთან

ერთად, დაეკისრათ სატარიფო რეგულირებისა და დანახარჯების განცალკევებულად აღრიცხვის ვალდებულება. კომისიამ გამოიყენა კანონმდებლობით მინიჭებული უფლება და შესაბამის პირებს დაუდგინა ზედა ზღვრული ტარიფი.

კომისიის მიერ, სპილენძის სააბონენტო სახაზო-საკაბელო წყვილების ფართოზოლოვან რესურსთან დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე სატარიფო რეგულირებისა და დანახარჯების განცალკევებულად აღრიცხვის სპეციფიკური ვალდებულების ფარგლებში, სახაზო-საკაბელო წყვილების ფართოზოლოვან რესურსთან დაშვების ზედა ზღვრული ტარიფი განისაზღვრა 11 ლარისა და 68 თეთრის ოდენობით, დღგ-ს ჩათვლით.

## რადიოსიხშირების მონიტორინგი და მართვა

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიაში არსებობს რადიოსიხშირეთა მართვის, მონიტორინგის კოორდინაციის დეპარტამენტი, რომელიც სისტემატურად ახორციელებს მის შესაბამის საქმიანობას. მათ შორის საქართველოს ტერიტორიაზე სიხშირეთა გამოყენების, სამაუწყებლო ან სხვა დანიშნულების მაღალსიხშირული მოწყობილობების მიერ წარმოქმნილ ხელშეშლებთან ან ელექტრომაგნიტურ შეუთავსებლობასთან დაკავშირებით საკითხების განხილვა და ტექნიკური დასკვნების მომზადება, ელექტრომაგნიტურ გარემოში გამომსხივებელი მაღალსიხშირული მოწყობილობების თავსებადობის პირობების დასაცავად მონიტორინგის და პროგრამული უზრუნველყოფით შესრულებული გათვლების საფუძველზე შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება, მონიტორინგის შედეგების (გამომსხივებელი წყაროს სპექტრალური, რაოდენობრივი, ხარისხობრივი და სხვა პარამეტრები) ტექნიკური ანალიზი, აღიარებულ სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა, შეფასება და რეაგირების აუცილებლობის შემთხვევაში შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება (ტექნიკური დასკვნა, რეკომენდაცია) თანამედროვე ტექნოლოგიებისა და არხთწარმოქმნის პრინციპების გათვალისწინებით რადიოსიხშირული სპექტრის გამოყენებით ლიცენზიების გაცემისთვის და რადიოსარელო ხაზების დაგეგმარებისთვის სიხშირული ზოლების განაწილება. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით განხორციელდა არსებული სამაუწყებლო ზონებით განსაზღვრულ ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში რადიოელექტრონული საშუალებებითა და მაღალსიხშირული მოწყობილობებით გამოყენებული და დაგეგმილი სიხშირული რესურსების სისტემატიზირება.

2007 წელს, კომისიის მიერ შემუშავდა პროგრამული საშუალება, რამაც შესაძლებელი გახადა: რეესტრის მონაცემთა ბაზისა და არსებული მონაცემების ურთიერთდაკავშირება; მათემატიკური მოდელის დამუშავება სხვადასხვა ერთეულების გაანგარიშებისათვის და მისი შემდგომი ინტეგრაცია არსებულ სისტემაში; სამაუწყებლო ზონების დამუშავება რეესტრთან მიმართებაში; EDX პროგრამული უზრუნველყოფის ინტერფეისის შემუშავება მისი შემდგომი ინტეგრირებისათვის შექმნილ პროგრამულ უზრუნველყოფაში, ვიდეო მასალის ჩაწერის საშუალების მქონე პროგრამული უზრუნველყოფის მოძიება და მისი ინტეგრირება სერვერზე, გამართვა; მიღებული საანკეტო მონაცემების და წერილების გადახარისხება - სისტემატიზაცია; თითოეული მომხმარებლის და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლის მიერ ჩატარებული სამუშაოების აღსაწერი მონაცემთა ბაზის და მისი მართვის ინტერფეისის შექმნა-დანერგვა;

მონაცემთა ბაზისათვის დაცვის მექანიზმების შემუშავება და ყველა მომხმარებლისათვის უნიკალური უფლებების გაწერა.

რადიოსიხშირული სპექტრის მართვის კუთხით ჩატარდა შემდეგი სამუშაოები:

1. რადიოსიხშირული ზოლების სიხშირული საზღვრების დადგენა სხვადასხვა დანიშნულებით გამოყენებისთვის:

ა) უსადენო ფართოზოლოვანი ქსელები;

ბ) უსადენო ლოკალური ქსელები;

გ) რადიოსარელო ხაზები;

დ) რადიოსანავიგაციო და რადიოსალოკაციო სისტემები;

ე) საფრენ აპარატებთან ინფორმაციის ურთიერთგაცვლის სისტემები (მიწა-ჰაერი, ჰაერი - მიწა).

## საერთაშორისო კოორდინაცია

2007 წლის 22 ოქტომბრიდან – 16 ნოემბრამდე ქ. ჟენევაში ჩატარდა რადიოკავშირის მსოფლიო კონფერენცია (WRC-07), რომელშიც მონაწილეობა მიიღო 164 ქვეყნის 2800-ზე მეტმა დელეგატმა, ხოლო მის დაწყებამდე, ასევე ქ. ჟენევაში, 15-19 ოქტომბერს გაიმართა რადიოკავშირის ასამბლეის სხდომა (RA-07). ამ ორივე ღონისძიებაზე საქართველოს კავშირგაბმულობის ადმინისტრაციის სახელით წარმოდგენილი იყო დელეგაცია კომისიდან. კომისიის წარმომადგენლებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს რადიოკავშირის ასამბლეაზე, სამუშაო ჯგუფების რეორგანიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებში. განსაკუთრებით, ისეთი ჯგუფების ჩამოყალიბებასა და მისი ხელმძღვანელების არჩევაში, რომლებიც დაკავშირებულია რადიოსიხშირული სპექტრის მართვის და მონიტორინგის საკითხებთან, ასევე სამაუწყებლო (რადიო და სატელევიზიო მაუწყებლობა) სამსახურთან დაკავშირებული საკითხების განხილვისას. შესწავლილი იქნა კონფერენციაზე განსახილველი ყველა საკითხი (სულ 28 საკითხი, როგორც აღინიშნა ზემოთ). მათი თემატიკიდან და საქართველოში რადიოკავშირის სისტემების ფუნქციონირებისა და მათი გამოყენების სამომავლო პერსპექტივიდან გამომდინარე, ყურადღება გამახვილდა WRC-07 –ის დღის წესრიგის 3 საკითხზე. კერძოდ 1.4, 1.6 და 1.13 პუნქტებზე – შესაბამისად ახალი თაობის მობილური კავშირგაბმულობის სისტემებისთვის (IMT-2000) ახალი სიხშირული დიაპაზონების გამოყოფა, დამატებითი სიხშირული განაწილება საჰაერო რადიოსანავიგაციო სისტემებისთვის 108.0 მჰც – 6 გჰც დიაპაზონში და 4 – 10 მჰც სიხშირულ დიაპაზონში ფიქსირებული და მოძრავი სამსახურებისთვის გამოყოფილი სიხშირული ზოლების გადანაწილება. აღნიშნულთან დაკავშირებით, მომზადდა წინადადებები რომელიც გათვალისწინებული იქნა კონფერენციის შემსწავლელი ჯგუფების მიერ.

გამომდინარე ეროვნული სიხშირული განაწილების გეგმის რადიოკავშირის რეგლამენტის გეგმასთან თანხვედრის აუცილებლობიდან, მომზადდა წინადადებები და მეზობელ ქვეყნებთან შეთანხმების შემდეგ, საქართველოში მობილური კავშირგაბმულობის სისტემების ახალი თაობის (IMT) დანერგვისა და განვითარებისთვის განისაზღვრა ახალი სიხშირული ზოლები, კერძოდ, 450-470 მჰც, 806-862 მჰც, 2.3-2.4 გჰც და 3.4-3.6 გჰც დიაპაზონები. ეს დიაპაზონები თანხვედნილია როგორც საქართველოს სიხშირული განაწილების ბადასთან, ასევე რადიოკავშირის ბიუროს რეგლამენტთან. აქვე



დავძენთ, რომ აღნიშნულ კონფერენციამდე საქართველოს ეროვნული სიხშირული განაწილების გეგმა არ იყო შესაბამისობაში ITU-ს რადიორეგლამენტით წარმოდგენილ ერთიან განაწილების გეგმასთან.

2007 წლის რადიოკავშირის მსოფლიო კონფერენციის (WRC) დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები, კონფერენციის მოსამზადებელ პერიოდში, განიხილებოდა როგორც კავშირგაბმულობის ადმინისტრაციების, ასევე რეგიონალური ორგანიზაციების CEPT, RCC, ABU და კონფერენციის მოსამზადებელი შეხვედრების (CPM) მიერ. აღნიშნული შეხვედრების ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს წარმოადგენს, კავშირგაბმულობის ადმინისტრაციების მიერ წარდგენილი წინადადებების დაცვა და კოორდინაცია სხვა ქვეყნების კავშირგაბმულობის ადმინისტრაციებთან. აღნიშნულთან დაკავშირებით, საქართველოს კავშირგაბმულობის ადმინისტრაციის სახელით, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ აქტიური მონაწილეობა მიიღო (დელეგაციებს ვხელმძღვანელობდი მე), როგორც რეგიონალური თანამეგობრობის (RCC) წინასაკონფერენციო (ბიშკეკი 2-5 აპრილი 2007), ასევე რადიოკავშირის ბიუროს (BR) მიერ ორგანიზებულ CPM (ჟენევა 17 თებერვალი-3 მარტი 2007) შეხვედრებში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე რადიოკავშირის მსოფლიო კონფერენციაზე WRC 07-ზე, წარმატებით იქნა გადაჭრილი საკითხი საქართველოს ევროპის სამაუწყებლო ზონაში გაწევრიანებასთან დაკავშირებით, რაც შემდგომში ხელს შეუწყობს საქართველოში თავისფული მედიის განვითარებას, მის შემდგომ სრულყოფას და ინტეგრირებას საერთო ევროპულ სივრცეში.

ამას გარდა საერთაშორისო კოორდინაციის კუთხით 2007 წელს ჩატარდა შემდეგი სამუშაოები:

1. მოძიებული იქნა კომპიუტერული პროგრამა, ელექტრონული ფორმატით ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირში ITU რადიოსამაუწყებლო გადამცემი სადგურების შესახებ კოორდინაციაზე ინფორმაციის წარდგენასთან დაკავშირებით და მომზადდა ელექტრონული ვერსია, რომლის გამოყენებით შესაძლებელი იქნება გაეგზავნოს კოორდინაციაზე მონაცემები მეზობელი ქვეყნებს მიღებული T01 ფორმის შესაბამისად;

2. განხილული იქნა რუსეთის ფედერაციიდან, უკრაინიდან, თურქეთის რესპუბლიკიდან, აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან კოორდინაციაზე მიღებული წერილები და მომზადდა შესაბამისი პასუხები. ზოგიერთი სადგურების (უკრაინა, სიმფეროპოლის საშუალოტალღოვანი რადიოგადამცემი სადგურები) კოორდინაცია განხორციელებული იქნა ჩვენს მიერ მოთხოვნილი შენიშვნების გათვალისწინებით;

3. რადიოსამაუწყებლო სადგურების კოორდინაციის ჩასატარებლად გაეგზავნათ წერილები საქართველოში არსებულ ლიცენზირებულ სამაუწყებლო კომპანიებს;

4. პერიოდულად ხდებოდა ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირიდან მიღებული ცირკულარული წერილების განხილვა და სათანადო პასუხების მომზადება, ასევე ორკვირეული საინფორმაციო დისკების (BRIFIC) განხილვა და მათი ანალიზი. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ციფრული სამაუწყებლო სადგურების კოორდინაციას. ძირითადად კოორდინაციაზე მოთხოვნა გაკეთდა უკრაინიდან, ასევე აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან;

5. ორი ქვეყნის (საქართველო და აზერბაიჯანი) სასაზღვრო რაიონებში კოორდინაციისა და რადიოხელშეშლების აღმოფხვრის მიზნით, ორგანიზებული იქნა და ჩატარდა

მონიტორინგის სამუშაოები ორი ქვეყნის ტერიტორიაზე, შედგა ორმხრივი ოქმი და გატარდა შესაბამისი ღონისძიებები.

2006 წელს ITU-მ უნდა გამოაქვეყნა ციფრული სატელევიზიო არხების ახალი განაწილების გეგმა. 2005 წლის დასაწყისში, წინასწარი განაწილების შედეგად საქართველოს ერგო სულ 72 ციფრული არხი. 2007 წელს, კომისიის ძალისხმევით, მეზობელ ქვეყნებთან არაეთეზის მოლაპარაკებისა და შესაბამისი ხელშეკრულებების ხელმოწერის შედეგად, მოხდა აღნიშნული არხების 72-დან 175-მდე გაზრდა და ნოემბრის თვესში აღნიშნული არხების საბოლოოდ დამტკიცება. აღსანიშნავია ისიც, რომ აღნიშნული არხების რაოდენობას დაეთანხმა ITU-ც და საქართველოს მდგომარეობა მიიჩნია რეგიონში “ეტალონურ სიტუაციად”.

## დავები

2007 წელს კომპანიებს შორის კომისიაში გაიმართა სულ 13 დავა:


- “ახალ ქსელებსა” და “საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიას” შორის. დავის საგანს წარმოადგენდა ქ. ზესტაფონში კომპანიების აბონენტებს შორის დაკავშირების დაუყოვნებელი აღდგენა. დაკმაყოფილდა მოსარჩელეს მოთხოვნა.
- შპს “ბოლნისის ახალი ქსელებსა” და “საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიას” შორის. “საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის” მხრიდან არ ხორციელდებოდა 8-258-30XXX-31XXX ინდექსების გააქტიურება, რომელიც კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე მინიჭებული აქვს შპს “ბოლნისის ახალ ქსელებსა”. დაკმაყოფილდა მოსარჩელეს მოთხოვნა
- “ახტელსა” და “საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიას” შორის. დავის საგანს წარმოადგენდა სს “საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის” მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა და კაბელების გათიშვის ფაქტები. დავა გადაწყდა მორიგებით.
- “ახალ ქსელებსა” და “საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიას” შორის. დავის საგანს წარმოადგენდა მოდავე მხარეებს შორის 62,66,67, 68 ასს-ების ზონაში სახაზე საკაბელო წყვილებით მომსახურების ხელშეკრულებების პირობების დადგენა და შესაბამისი ხელშეკრულებების გაფორმება. დაკმაყოფილდა მოსარჩელეს მოთხოვნა.
- “მაქსტელკომსა” და “საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიას” შორის. დავის საგანს წარმოადგენდა სს “საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის” მხრიდან სატელეფონო კანალიზაციით სარგებლობის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა. დავა დასრულდა მორიგებით.

- "მაგთიკომსა" და "საქტელკომ პლიუს" შორის. დავის საგანს წარმოადგენდა შპს "მაგთიკომთან" დადებული ურთიერთჩართვის ხელშეკრულების საფუძველზე შპს "საქტელკომ პლიუსის" დაგროვილი დავალიანების გადახდა. დავა შეწყდა.
- "მაგთიკომსა: და "მაკროკომს" შორის. დავის საგანს წარმოადგენდა შპს "მაგთიკომთან" დადებული ურთიერთჩართვის ხელშეკრულების საფუძველზე შპს "მაკროკომისათვის" დაგროვილი დავალიანების გადახდის დაკისრება. დავა შეწყდა.
- "მაგთიკომსა" და "კომუნიკაციების საკონსულტაციო ჯგუფს" შორის. დავის საგანს წარმოადგენდა შპს "მაგთიკომთან დადებული ურთიერთჩართვის ხელშეკრულების საფუძველზე შპს "კომუნიკაციების საკონსულტაციო ჯგუფისათვის" დაგროვილი დავალიანების გადახდის დაკისრება. დავა შეწყდა.
- შპს "ქართული სატელეფონო კომპანიასა" და "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიას" შორის. დავის საგანს წარმოადგენდა სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის მხრიდან ურთიერთჩართვის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა. მოთხოვნა დაკმაყოფილდა.
- "ქართული სატელეფონო კომპანიასა" და საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიას" შორის. დავის საგანს წარმოადგენდა სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" შეგებებული განცხადების განხილვა. მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.
- "ახტელსა" და "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიას" შორის. დავის საგანს წარმოადგენდა სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა და კაბელების ჩაჭრის აბონენტთა განზრდახ გათიშვის ფაქტები. მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.
- საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასთან მოქმედი მომხმარებელთა უფლებების საზოგადოებრივ დამცველსა და "კავკასუს ონლაინს" შორის. დავის საგანს წარმოადგენდა ინტერნეტ მომსახურების მიწოდებისას არსებული ხარვეზები. მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.
- "კავკასიის ციფრული ქსელებსა" და "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიას" შორის. დავის საგანს წარმოადგენდა სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" მიერ დაშვების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა. მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.
- "ეგრისსა" და "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიას შორის". დავის საგანს წარმოადგენდა სს "ეგრისსა" და "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიას" შორის დადებული ხელშეკრულების მოქმედების ვადისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის საკითხი. დავა შეწყდა.
- "ეგრისსა" და "კავკასუს ონლაინს" შორის. დავის საგანს წარმოადგენდა სს "ეგრისის" შპს "კავკასუს ონლაინის" ქსელის შესაბამის ელემენტებთან დაშვების უზრუნველყოფა. მოთხოვნა დაკმაყოფილდა.

- "ინფოტელსა" და "საქართველოს გაერთიანებულ სატელეკომუნიკაციო კომპანიას" შორის. დავის საგანს წარმოადგენდა სატელეფონო კანალიზაციით სარგებლობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა. დავა შეწყდა.
- "ახალ ქსელებსა" და "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიას" შორის. დავის საგანს წარმოადგენდა სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" მიერ გლდანი-ნამალადევის რაიონში ასს 69-ის ზონაში კაბელების ჩაჭრით შპს "ახალი ქსელების" აბონენტთა გათიშვის ფაქტები. მოთხოვნა დაკმაყოფილდა.
- "ახალ ქსელებსა" და "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიას" შორის. დავის საგანს წარმოადგენდა სახაზო-საკაბელო წყვილებით მომსახურების ხელშეკრულების გაუფორმებლობა. მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.


### ანალოგური სატელევიზიო მაუწყებლობიდან ციფრულზე გადასვლა

ანალოგური სატელევიზიო მაუწყებლობიდან ციფრულზე გადასვლა მთელ მსოფლიოში მიმდინარეობს ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში, მათ შორის ტელერადიომაუწყებლობაში, ციფრული ტექნოლოგიური რევოლუცია. 2009-2015 წლებში საქართველოში ტელერადიომაუწყებლობის განვითარების კონცეფციის ძირითად მიზნად უნდა განისაზღვროს ქვეყნის მოსახლეობის უზრუნველყოფა კონსტიტუციური უფლებით, მიიღოს სოციალური მნიშვნელობის შემცველი ინფორმაცია.



როგორც ციფრული გვიჩვენებს, მოსახლეობა არათანაბრადაა უზრუნველყოფილი ინფორმაციის მიღების ყველაზე უფრო მასობრივი საშუალებებით. ტელერადიო მაუწყებლობის განვითარების ექსპანსიური მეთოდები ანალოგური მაუწყებლობის ხარჯზე მოითხოვს ფართო მასშტაბის კაპიტალდაზანდებებს.

2006 წელს ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირის (ITU) მიერ, რადიოკავშირის რეგიონალურ კონფერენციაზე (RRC 06), შემუშავებული იქნა პირველი და მე-3 რეგიონებისთვის, 174-230 მგჰც და 470-862 მგჰც სიხშირულ დიაპაზონებში მიწისზედა ციფრული მაუწყებლობის გეგმა Geneva 06. ამ გეგმის შექმნა მიზნად ისახავდა რადიოსიხშირული სპექტრის ეფექტურად გამოყენებას როგორც ნაციონალურ, ასევე საერთაშორისო დონეზე. აქედან გამომდინარე ტექნიკური



პოლიტიკის განსაზღვრის ძირითად მიზნად შეიძლება განხილული იქნეს რადიოსიხშირული სპექტრის კონვერსია, რომელიც საშუალებას მოგვცემს გავაფართოვოთ სამაუწყებლო დიაპაზონის შესაძლებლობები. ციფრული მაუწყებლობის განაწილების გეგმა Geneva 06-ით, საქართველოსთვის დაგეგმარებული იქნა 175 ციფრული არხი, რომლებიც განაწილებული იქნა ქვეყნის სრულ ტერიტორიაზე 10 სამაუწყებლო ზონაში.

ანალოგურიდან ციფრულ მაუწყებლობაზე გარდამავალ პერიოდში სასურველია გამოყენებული იქნეს ციფრული მაუწყებლობის საერთო ევროპული სტანდარტი DVB, ხოლო სიგნალის კომპრესირებისას (შეკუმშვიმას) – MPEG-4 ან უფრო მაღალი.

ასეთი სტანდარტების გამოყენებით შესაძლებელი იქნება ერთ სატელევიზიო არხში მოთავსებულ იქნეს 6-8 სტანდარტული ხარისხის სატელევიზიო პროგრამა და 4 რადიოარხი იმავედროულად.


ერთი სტანდარტული ხარისხის სატელევიზიო პროგრამა MPEG-4 კომპრესიით მოითხოვს მონაცემთა ნაკადის სიჩქარის შესაბამის გატარების ზოლის სიგანეს 2-2.5 მგბტ/წმ. შესაბამისად 6 პროგრამისთვის საკმარისი იქნება 12-15 მგბტ/წმ, რაც შეესაბამება მულტიპლექსორის DVB-T ნაკადის COFDM მოდულირებული სიგნალის გამტანუნარიანობას 16-QAM 2/3 ან 3/4 კოდირების ფარდობითი სიჩქარით და დაცვის 1/8 ან უფრო მაღალი ფარდობითი ინტერვალით. ციფრული მაუწყებლობის ასეთი პარამეტრების გამოყენებით, შესაძლებელია უზრუნველყოფილ იქნას სამაუწყებლო სიგნალის მდგრადი მიღების ზონა 35 კმ რადიუსით.

ციფრულ მაუწყებლობაზე გარდამავალ პერიოდში, საწყის ეტაპზე სიხშირული რესურსის დეფიციტის არსებობის გამო, სასურველია გამოყენებული იქნეს ციფრული ნაკადი, რომელიც უზრუნველყოფს მიღების მაქსიმალურ სიშორეს მონაცემთა გადაცემის მცირე სისწრაფით. სატელევიზიო ციფრული გადამცემები, ეკონომიური მოსაზრებებიდან და პრაქტიკული გამოყენებიდან გამომდინარე, არ იწარმოება 5 კვტ სიმძლავრეზე მეტი. მე-4 და მე-5 სატელევიზიო დიაპაზონებში ანტენების გაძლიერების კოეფიციენტი არ აღემატება 12 დბ-ს რაც შესაძლებლობას გვაძლევს 49 დბვტ სიმძლავრის გადამცემის ექსპლუატაციაში გასაშვებად. ეს კი სავსებით საკმარისია საქართველოსთვის კონკრეტული რეგიონების უზრუნველსაყოფად ერთსიხშირიანი ქსელებით.


ციფრული სატელევიზიო სამაუწყებლო ქსელების გაფართოების შემდგომ, შესაძლებელია მონაცემთა გადაცემის ნაკადის სისწრაფის გაზრდა, რაც საშუალებას მოგვცემს გავზარდოთ ტრანსლირებადი პროგრამების რაოდენობა (მაგრამ შემცირებული იქნება სატელევიზიო გადამცემის მომსახურების ზონა). ციფრული სამაუწყებლო ქსელების მოდერნიზაცია შესაძლებელია 64-QAM მოდულაციის რეჟიმის გამოყენებით, რაც მოგვცემს როგორც პროგრამების რაოდენობის გაზრდის საშუალებას, ასევე მათი ხარისხის გაუმჯობესებას.

ანალოგურიდან ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის კონცეფციის რეალიზება უნდა განხორციელდებოდეს 3 ეტაპად და იგი დაფუძნებულია Geneva 06 განაწილების გეგმით არსებული სიხშირული რესურსის გამოყენებით ახალი ციფრული სამაუწყებლო ქსელების მოწყობაზე და დაინტერესებული ორგანიზაციების მზადყოფნაზე შექმნან ციფრული სამაუწყებლო ქსელების ინფრასტრუქტურა.

## თავი III ელექტრონული კომუნიკაციების მომსახურების ბაზრის განვითარების მიმოხილვა



2007 წელს ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების ბაზრის მთლიანი შემოსავალი (დღგ-ს ჩათვლით) კვლავ ზრდადი იყო და საერთო ჯამში 1 მილიარდ 114 მილიონი ლარი შეადგინა; რაც წინა წელთან შედარებით 112, 170,190 ლარით მეტია.



2003-2005 წლებში საკომუნიკაციო დარგის საერთო შემოსავლების წლიური ზრდის ტემპი კლების ტენდენციით ხასიათდებოდა. შემდგომ 2006 წელს ჯამური შემოსავლების წლიურმა ზრდის ტემპმა 42.31%, 2007 წელს კი 11.20% შეადგინა.

აქვე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 2003-2006 წლებში საქართველოს ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების დარგის ყოველთვიური შემოსავლების საშუალო ოდენობა საქართველოს ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით 9.48 ლარიდან (2003 წ.), 21,1 ლარამდე (2007 წ.) გაიზარდა. აღნიშნული ზრდა დაფიქსირდა საკომუნიკაციო მომსახურების საერთო ტარიფების დონის შემცირების ფონზე.


ფიქსირებული საკომუნიკაციო ბაზრის სეგმენტებზე კონკურენციის განვითარების მახასიათებლების (მათ შორის ჰერფინდალ-ჰირშმანის კონცენტრაციის ინდექსის – HHI) გაანალიზებისას ნათლად გამოიკვეთა, როგორც ცალკეულ სეგმენტზე საბაზრო კონკურენციის ხარისხობრივი მატების ტენდენცია (მაგალითად ადგილობრივი ფართოზოლოვანი უსადენო დაშვების ბაზრის სეგმენტზე), ასევე ის ამოცანები, რომელთა გადაჭრაც აუცილებელია ამ პროცესების შემდგომი ხელშეწყობისა და ბაზრის ცალკეული სეგმენტების კონკურენტული გაფართოებისათვის.

## დარგის შემოსავლების წილი ეკონომიკის მთლიან შიდა პროდუქტში

2000 წლიდან დაწყებული, ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების ბაზრის შემოსავლების წილი მთლიან შიდა პროდუქტში სისტემატური ზრდის ტენდენციით ხასიათდება. 2001 წელს, აღნიშნული მაჩვენებლის ოდენობა 3.76%-ს შეადგენდა, 2006 წლისათვის კი 7.49%-ს მიაღწია. 2007 წელს, აღნიშნული მაჩვენებელი შემცირდა, მშპ-ს ზრდის ტემპის უპრეცედენტო ზრდის ფონზე, რაც ქვეყნის ეკონომიკის სხვა დარგების განვითარების ტენდენციით აიხსნება.

	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007
საკომუნიკაციო დარგის შემოსავლები	261,463,139	333,801,823	454,120,481	588,997,771	703,681,453	1,001,402,281	1,113,573,191
მშპ (მლნ. ლარი)	6,956	7,763	8,872	10,278	11,621	13,370	16,999
საკომუნიკაციო დარგის შემოსავლების წილი მშპ-ში (%)	3,76%	4,3%	5,1%	5,7%	6,1%	7,5%	6,6%
მშპ-ს ზრდის ტემპი	9.10%	10.40%	12.50%	13.70%	11.60%	13.10%	21.40%

აგრეთვე, აღსანიშნავია ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების ბაზრის ჯამური შემოსავლების ზრდის ტემპის მაჩვენებლის შედარებითი ანალიზი ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის მატების ტემპთან შედარებით. 2000-2006 წლების მანძილზე, პრაქტიკულად ელექტრონული კომუნიკაციების ბაზრის შემოსავლების წლიური ზრდის ტემპი აღემატებოდა მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპს, რაც მშპ-ს არასაკმარის ზრდის ტემპსა და ეკონომიკის სხვა დარგების განვითარების დაბალ ტემპზე მიუთითებდა. 2007 წელს, მშპ-ს ზრდის ტემპმა გადააჭარბა ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების ბაზრის ზრდის ტემპს.



**ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების ბაზრის სეგმენტების განვითარების დინამიკა**

ელექტრონული საკომუნიკაციო ბაზრის ცალკეულ სეგმენტზე მოქმედი ოპერატორების მიერ მიღებული შემოსავლების პროცენტული განაწილება მომსახურების სახეების მიხედვით და მათი მატების დინამიკა ნათლად მეტყველებს დარგის საერთო განვითარების ტენდენციებზე.


თუ ელექტრონული კომუნიკაციების ბაზარს სამ სეგმენად- ფიქსირებულ ტელეფონიად, მობილურ ტელეფონიად და მაუწყებლობად დავეყოფთ აბსოლუტურ მონაცემებში მათ მიერ მიღებული შემოსავლები, ასე გამოიყურება:

ელექტრონული კომუნიკაციების სეგმენტების მიხედვით მიღებული შემოსავლები

	2003	2004	2005	2006	2007
ფიქსირებული ტელეფონია	170,179,961	208,219,929	247,040,637	298,832,881	328,880,274
მობილური ტელეფონია	265,061,278	354,903,747	424,911,866	650,345,176	704,632,634
მაუწყებლობა	18,879,242	25,874,095	31,728,950	52,224,224	80,060,284



2007 წელს, სეგმენტების მიხედვით დაკავებული პროცენტები ასეთია:



2007 წელს, ელექტრონული კომუნიკაციის ბაზრის მთლიანი შემოსავლის 63%-იანი წილი მობილურ კომუნიკაციაზე მოდის. აღნიშნული მაჩვენებელი 2003 წელს 58%, 2005 წელს 60%, 2006 წელს 65% შეადგენდა. მობილური კომუნიკაციების სეგმენტზე მოქმედი ოპერატორების საერთო შემოსავალი 2006 წელთან

შედარებით 54,3 მილიონი ლარით გაიზარდა.

2007 წელს, ფიქსირებული საკომუნიკაციო მომსახურების ბაზრის სეგმენტზე მოქმედი ოპერატორების შემოსავლები წინა წელთან შედარებით 30 მლნ. ლარით გაიზარდა და თითქმის 329 მილიონი ლარი შეადგინა, რაც ბაზრის შემოსავლის 29,5%-ია.

ტელე-რადიო მაუწყებლობის ბაზრის ლიბერალიზაციის და გაფართოების ტენდენცია 2007 წელსაც დაფიქსირდა. აღნიშნული სეგმენტი ჩამოყალიბდა, როგორც ეკონომიურად მომგებიანი სექტორი. მისი წილი 2007 წლის მონაცემებით, მთლიანად ელექტრონული კომუნიკაციების ბაზრის 7.2%-ია; აბსოლუტურ მონაცემებში მან 80,1 მლნ. ლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 27.8 მილიონი ლარით მეტია.

ქვევით ცხრილში ნათლად არის მოცემული 2003-2007 წლების პერიოდში საკომუნიკაციო ბაზრის ცალკეული სეგმენტების განვითარების ტენდენციები.

ელექტრონული კომუნიკაციების სეგმენტების პროცენტული განაწილება 2003-2007

	2003	2004	2005	2006	2007
ფიქსირებული ტელეფონია	37.47	35.35	35.11	29.84	29.53
მობილური ტელეფონია	58.37	60.26	60.38	64.94	63.28
მაუწყებლობა	4.16	4.39	4.51	5.22	7.19


## ფიქსირებული საკომუნიკაციო მომსახურება

ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების ბაზრის სეგმენტზე შემოსავლების უმეტესი წილი ს/ს "საქართველოს გაერთიანებულ სატელეკომუნიკაციო კომპანიაზე" მოდის. მისი, შპს "ახტელისა" და შპს "ახალი ქსელების" ერთობლივი წილი აღნიშნულ სეგმენტზე თითქმის 90%-ს შეადგენს.

ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების აბონენტების (აქტიური სატელეფონო ხაზების) რაოდენობა 2000-2007 წლების პერიოდში დაახლოებით 12.6%-ით გაიზარდა და 2007 წლის დასასრულს 556 ათასი აბონენტი შეადგინა.



ფიქსირებული ქსელის აბონენტები 2000-2007 წლები

	2000	2003	2004	2005	2006	2007
ფიქსირებული ქსელის აბონენტი	493,999	519,581	532,755	544,417	553,105	556,088




ფიქსირებული საკომუნიკაციო მომსახურების ბაზრის ჯამური შემოსავლები 2007 წელს 328,880 მილიონი ლარამდე გაიზარდა. 2007 წელს აღნიშნული მომსახურების სეგმენტის წილმა საკომუნიკაციო დარგის მთლიან შემოსავლებში 29.5% შეადგინა.

## მობილური ტელეფონია




2007 წელს მობილური საკომუნიკაციო მომსახურების ზრდის უკანასკნელი წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული ტრადიცია კვლავ შენარჩუნდა. 2007 წელს ამ სეგმენტის შემოსავლებმა 704 მილიონ ლარს გადააჭარბა (დღგ-ს ჩათვლით). აქვე აღვნიშნავთ, რომ მობილური საკომუნიკაციო მომსახურების ბაზრის ზრდის ტემპი დარგში ყველაზე მაღალი მაჩვენებლით ხასიათდება, ხოლო მისი წილი მთლიანად ბაზარზე თითქმის 63%-ია.




2007 წელს მობილური სატელეფონო ქსელის აქტიური აბონენტების რაოდენობამ რეკორდულად 895 ათასით იმატა და თითქმის 2 მილიონ 600 ათასი შეადგინა.

მობილური სატელეფონო მომსახურების აქტიური აბონენტების რაოდენობამ ჯერ კიდევ 2003 წელს გადააჭარბა ადგილობრივი სატელეფონო მომსახურების ოპერატორების აბონენტების რაოდენობას.




მობილური საკომუნიკაციო მომსახურების ყოველთვიური შემოსავლების ოდენობა საშუალოდ ერთ აბონენტზე გადაანგარიშებით 2000 წელს 57.74 ლარს შეადგენდა, 2007 წელს 217 ლარი შეადგინა.

## ტელე-რადიო მაუწყებლობა




2007 წელს ტელე-რადიო მაუწყებლობის სფეროში კომპანიების მიერ მიღებულმა საერთო შემოსავალმა 80 მლნ. ლარი შეადგინა, რაც იმავე წელს საკომუნიკაციო ბაზრის მთლიანი შემოსავლების 7.2%-ა.



2002 წლამდე ელექტრონული კომუნიკაციების ეს სეგმენტი ეკონომიური მიმზიდველობის თვალსაზრისით განსაკუთრებით არ გამოირჩეოდა, რაც ამ პერიოდში სარეკლამო ბაზრის მცირე მოცულობით და განვითარების შედარებით დაბალი დონით იყო განპირობებული. 2003 წლიდან დაიწყო ბაზრის ამ სეგმენტის მკვეთრი გაფართოება.

## ინტერნეტის ქსელით მომსახურება



2000-2007 წლების პერიოდში ინტერნეტის ქსელით მომსახურების ბაზრის სეგმენტზე მოქმედი ოპერატორების შემოსავლები 3,7 მლნ. ლარიდან 42.5 მლნ ლარამდე გაიზარდა. 2006 წელს შემოსავლების მატებამ წინა წელთან შედარებით 62.5 %-ს მიაღწია. ელექტრონული კომუნიკაციების ბაზარზე ინტერნეტით მომსახურება მობილური საკომუნიკაციო მომსახურების შემდეგ, ყველაზე

მზარდი სეგმენტია. 2007 წლის დასასრულს ADSL ტექნოლოგიებით ინტერნეტის მომხმარებლების რაოდენობა კვლავ სტაბილურად იზრდებოდა და 41 ათასს გადააჭარბა.

## თავი IV სტრატეგიული გეგმა

2007-2010

სტრატეგიული გეგმის მიზანია დაგეგმოს მარეგულირებლის საქმიანობა, განსაზღვროს სამოქმედო მიზნები და ამოცანები საშუალო და გრძელ ვადაში. სტრატეგიული გეგმის მეშვეობით ასევე ადვილდება შიდა კონტროლი, ხდება მარეგულირებლის ადამიანური, ტექნიკური და ფინანსური რესურსების მართვის ეფექტურობისა და ეფექტიანობის ზრდა. სტრატეგიული გეგმის საშუალებით განისაზღვრება საჭიროებები, იქნება ეს ინფორმაციის, მომზადების, საექსპერტო, ტექნიკური და სხვა საჭიროებანი.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას, კანონმდებლობით მინიჭებული აქვს რიგი უფლებები და ვასუხისმგებლობები, რის მიხედვითაც იგი გეგმავს თავის საქმიანობას. კომისიის უფლებამოსილებებში შედის.

კომისიამ შეისწავლა ელექტრონული კომუნიკაციების ბაზარზე არსებული მდგომარეობა, საერთაშორისო მასშტაბით განვითარების არეალი და პერსპექტივები, ჩათვალა, რომ მომავალი 3 წლის მანძილზე, ქვეყნისათვის მნიშვნელოვანია შემდეგი მიმართულებების განვითარება და ხელშეწყობა, რის მიხედვითაც, ჩამოაყალიბა შესაბამისი სტრატეგიული მიზნები:

### *სტრატეგიული მიზნები*

#### **მიზანი 1: ფართოზოლოვანი საკომუნიკაციო მომსახურების განვითარება (Broadband & LLU, DLL development)**

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია სტრატეგიულ მიზნად ისახავს ფართოზოლოვანი საკომუნიკაციო მომსახურების ბაზრის განვითარებას ამ სახის მომსახურებაზე მოთხოვნის ტენდენციური ზრდიდან გამომდინარე და შესაბამისად ადგილობრივი დაშვების ქსელში კონკურენციის უზრუნველყოფას, რაც უნდა განხორციელდეს ოპერატორებისთვის ქსელში დაშვების წასახალისებლად შესაბამისი პირობების უზრუნველყოფით.

ამ ბაზრის განვითარების ხელშეწყობის საჭიროებას ასევე განაპირობებს კონვერგენციის პროცესიც, რომელიც ამ შემთხვევაში გულისხმობს ფართოზოლოვანი საკომუნიკაციო მომსახურების არა მხოლოდ სწრაფად მონაცემთა გადაცემისთვის გამოსაყენებლად არამედ VoIP ტექნოლოგიებისთვის (ხმოვანი გადაცემა ინტერნეტ პროტოკოლის საშუალებით), რამაც უკვე ფართოდ მოიკიდა ხელი ევროპის ქვეყნებში.

#### **მიზანი 2: კონკურენციის ხელშეწყობა**

ბაზარზე კონკურენციის ხელშეწყობა უზრუნველყოფს მომხმარებლებისათვის ფართო არჩევანს და მომსახურების ხარისხის ზრდას. კონკურენციის წინასწარი

რეგულირება მიზნად ისახავს ეფექტიანი, გრძელვადიანი, კონკურენტული და ღია საბაზრო გარემოს ჩამოყალიბებას, რაც, თავის მხრივ ხელს უწყობს ელექტრონულ საკომუნიკაციო ქსელებსა და საშუალებებში ინვესტიციების წახალისებას და ტექნოლოგიური ინოვაციების დანერგვას. კონკურენციის რეგულირება ხორციელდება ობიექტურობის, ტექნოლოგიური ნეიტრალიტეტის, ფუნქციონალური ექვივალენტობის, მინიმალური საჭირო რეგულირების, პროპორციულად თანაზომადი სპეციფიკური ვალდებულებების დაკისრების, გამჭვირვალების და არადისკრიმინაციულობის პრინციპების დაცვის გათვალისწინებით.

კონკურენციის წინასწარი რეგულირების გამჭვირვალე, ობიექტური და ეფექტიანი რეჟიმის დანერგვის მიზნით საწიროა შემუშავდეს ბაზრის შესაბამისი სეგმენტის განსაზღვრისა და კონკურენტუნარიანობის კვლევის მეთოდოლოგიური წესები.

კონკურენციის ხელშესაწყობად საჭიროა ოპერატორების მიერ არაკონკურენტული საქმიანობის თავიდან აცილება, როგორცაა მტაცებლური ფასების დაწესება; ზრდადი გადართვის (ოპერატორის შეცვლის) ხარჯები; ურთიერთჩართვაზე უარი; დისკრიმინაციული დაშვების ფასები და ა.შ.

ბაზარზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მფლობელის მიერ ამ ძალაუფლების ბოროტად გამოყენების თავიდან აცილების მიზნით საჭიროა შესაბამისი ბაზრის კვლევა და ვალდებულებების დაკისრება. ამ ყოველივესთვის აუცილებელია მეთოდოლოგიის შემუშავება, თუ როგორ უნდა მოხდეს, ბაზრის განსაზღვრა, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალის მქონე ოპერატორის გამოვლენისთვის საჭირო კრიტერიუმების განსაზღვრა და შესაბამისი ვალდებულებების განსაზღვრა.

### **მიზანი 3: სიხშირული რესურსის მართვა**

სიხშირული რესურსი ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე შემოსავლიანი რესურსია. თუ კარგად დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ სიხშირული რესურსის გამოყენებით შემოსული შემოსავალი, ქვეყნის სხვა რესურსებიდან შემოსულ შემოსავალს აღემატება.

სიხშირული სპექტრის მართვის მექანიზმები და მიდგომები მუდმივად უნდა იხვეწებოდეს და ახლდებოდეს. მისი მართვისას გასათვალისწინებელია მუდმივად და სწრაფად განვითარებადი ტექნოლოგიები და შესაბამისი მოთხოვნები. ახალი ტექნოლოგიების განვითარებას ხელი შეეშლება სიხშირული სპექტრის ადექვატური მართვის მექანიზმების არ არსებობის პირობებში; შეიზღუდება კონკურენცია, ვერ დაინერგება ახალი ტექნოლოგიები და ქვეყნის მოქალაქეების ვერ ჩაებმებიან გლობალური ინფორმაციის ციკლში; ქვეყნის ბიუჯეტი ვერ მიიღებს სათანადო შემოსავალს.

სიხშირული რესურსების გამოყოფისა და კოორდინაციისას, საქართველოს ინტერესების დაცვის გარეშე, ვერ მოხდება მისი, როგორც სრულფასოვანი ქვეყნის წარმოდგენა საერთაშორისო საკომუნიკაციო არენაზე, შეიზღუდება მისი შესაძლებლობები მიიღოს მაღალ ტექნოლოგიური მომსახურება.

### **მიზანი 4: ნუმერაციის სისტემის რეფორმა**

ნუმერაცია ქვეყნის ერთ-ერთი შეზღუდული და ამოწურვადი რესურსია. ნუმერაციის სისტემა საერთაშორისო მასშტაბით ქვეყნის იდენტიფიცირების ერთ-ერთი ინსტრუმენტია.ამავე დროს, ნუმერაციის სისტემის გაუმართავად ფუნქციონირებით,



## **მიზანი 7: რეგულირების ეფექტურობის გაზრდა**

რეგულირების ეფექტურობის გაზრდის მიზნით საჭიროა ერთიანი ავტომატიზირებული საინფორმაციო სისტემის დანერგვა. აღნიშნული სისტემის ძირითადი მიზანია ავტორიზებული პირების და ლიცენზიის მფლობელების უწყებრივი რეესტრის წარმოების, მსურველი პირების საქმიანობის ავტორიზაციის, მათ მიერ საკუთარი საქმიანობის თაობაზე კანონითა და კომისიის ნორმატიული აქტებით განსაზღვრული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებასთან და მინიჭებული მარეგულირებელი უფლებამოსილებების განხორციელებასთან დაკავშირებით მოთხოვნილი სტატისტიკური ინფორმაციის (განზოგადებული მაჩვენებლების) მიწოდების ეფექტურობის ორგანიზება.

ზემოხსენებული საქმიანობა მოიცავს სამ ეტაპს:

ავტორიზებული პირების უწყებრივი რეესტრის მონაცემთა ბაზების, მათი შევსების, მართვისა და სამომხმარებლო ინტერფეისების მოდულის შემუშავება და დანერგვა ავტორიზაციის ავტომატიზირებული ფორმატის შემუშავება, რაც გულისხმობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ავტორიზაციის სახეების განსაზღვრას და ავტორიზაციის პროცედურების ავტომატიზაციას

ავტომატიზირებული სტატისტიკური ანგარიშგების ფორმების შემუშავება.

## **მიზანი 8: საქართველოს კომუნიკაციების კომისიის მუშაობის მოდერნიზაცია**

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია ითავისებს მასზე დაკისრებულ დიდ პასუხისმგებლობას ელექტრონული კომუნიკაციების რეგულირების საქმეში. გამომდინარე იქიდან, რომ კომისიის რეგულირების სფეროს წარმოადგენს ელექტრონული კომუნიკაცია, ყველაზე სწრაფად განვითარებადი და ცვლადი დარგი და იმისათვის, რომ კომისია თავის საქმიანობაში იყოს მუდმივად ეფექტური, შედეგებზე ორიენტირებული, ინოვაციური, იგი მუდმივად უნდა იცვლებოდეს და ვითარდებოდეს მოთხოვნის შესაბამისად. კომისია არა მარტო უნდა პასუხობდეს ბაზარზე შექმნილ მოთხოვნებს, არამედ თავად უნდა უზიარებდეს მომხმარებლებს მოთხოვნის შექმნისაკენ.

კომისია თავის საქმიანობაში უნდა გახდეს უფრო ეფექტური, ეფექტიანი, მოქნილი და ანალიტიკური; იგი უფრო ღია და გახსნილი უნდა გახდეს დისკუსიისათვის, რომელიც მზად არის დაინტერესებულ პირებს მიაწოდოს მათთვის საჭირო და მის კომპეტენციაში არსებული ინფორმაცია.